ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 14 დეკემბერი, 2016 №296 (7221) ფასი: 50 თეთრი

დასავლეთი საქართველოში ახალ პოლიტიკურ დასაყრდენს ქმნის

გვ.4

ვინ შევა ახალ მოძრაობაში?

13 დეკემბრიდან

უილიამ გოლდინგი

ბუზთა ბატონი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

დიმიტრი ქუმსიშვილს ტანში აჭრიალებს

აკაკი ზოიძე: „2017 წლის ბიუჯეტი არის ის გზა, რომელსაც ტაძრისკენ მივყავართ“

გვ.3

ირმა ინაშვილი: „მოგიწოდებთ, ჰაწვალიდან ბარში დაეშვათ“

გიგა ბოკერია: „თქვით პირდაპირ, რომ ხალხი მოატყუეთ“

„კვირიკაშვილის შემცვლელის ძებნა უკვე დაწყებულია“



გვ.2

გიგლა ბარამიძე: „მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობაში დიდი ფუთფუთია“

ხას გეგმავს ახასაპარლამენტო ოპოზიცია

პაატა შეშელიძე: „მთავრობის ეკონომიკური გუნდი ახლავე უნდა შეიცვალოს“

გვ.6

ლევან ბერძენიშვილი: „პრეზიდენტს ღიად მიაყენეს შეურაცხყოფა“

„ჩემთვის გაუგებარია, რატომ წავიდა უმრავლესობა მარგველაშვილთან ასეთ გამწვავებაზე“

გვ.3

„ქართული ოცნებიდან“ წინადადება ურთიერთობების დათბობაზე არ გვქონია“

„მინისტრები პრემიებს არ უნდა იღებდნენ“

გვ.5

ნუკრი ქანთარია: „სამსახურებიდან ადამიანების გაშვება მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია“

ISSN 1987-9385

საქართველოში 223 სოფელი ნასოფლარად იქცა

გვ.4

„არავის აინტერესებს, ვსუნთქავთ თუ არ ვსუნთქავთ“

შორენა მარსაგიშვილი

„კვირიკაშვილის შემცვლელის ძებნა უკვე დაწყებულია“

რას გეგმავს არასაპარლამენტო ოპოზიცია

გიგლა ბარამიძე: „მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობაში დიდი ფუთფუთია“

ხა ჯონსულტაციები მიმდინარეობს ოპოზიციაში, ხისთვის ემზადება ხელისუფლება, ხამდენი დაჯგუფება შეიქმნა სამთავრობო გუნდში, ხის გადაფარვას ცდილობენ ვიზალიბერალიზაციაზე საუბრით, ხატომ ვერ ბედავენ საკაშვილის გასამართლებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას" დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

– გავრცელებული ინფორმაციით, თქვენი პარტიის გარშემო ახალი ოპოზიციური გაერთიანება იქმნება. ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი უკვე გაწევრიანდა დემოკრატიულ მოძრაობაში, ამბობენ, რომ მალე სხვა პოლიტიკოსებიც შეგიერთდებიან. მართლა იქმნება ახალი გაერთიანება?

– არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პარტიები ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდნენ – ზოგ ლიდერს გულყრა დაემართა, ზოგი პოლიტიკიდან გაიქცა, რამდენიმე პარტია საერთოდ დაიშალა. მაშინ ვთქვი, რომ ჩვენი პარტია არ დაიშლება, აქედან არავინ წავა და, პირიქით, შემოგვიერთდება ხალხი. ამ ეტაპზე მხოლოდ გუბაზ სანიკიძე მოვიდა. მოსვლის სურვილი კიდევ ბევრ პოლიტიკოსს აქვს. ამის შესახებ ისინი არაოფიციალური შეხვედრების დროს საუბრობენ.

– შეგიძლიათ მათი ვინაობის დასახელება?

– მოდით, დასახელებას ნუ ვიჩქარებთ. არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები თუ ლიდერები ჩვენთან ბევრ თემაზე საუბრობენ. ამ ეტაპზე მხოლოდ ამის თქმა შემიძლია.

– შესაძლო გაერთიანებაზე თუ საუბრობთ?

– კიდევ გავიმეორებ, რომ საუბარი ბევრ რამეზე მიმდინერეობს. ოფიციალურად დიდი გაერთიანება, შესაძლოა, არ შედგეს, მაგრამ, არის საკითხები, რომელთა გარშემოც ერთიანი პოზიციები გვაქვს. ყველას მიგვაჩნია, რომ საარჩევნო კანონმდებლობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

კარგად მახსოვს, ერთი მილიარდერი კაცი როგორ უჭერდა ბიომეტრიულ საარჩევნო სიას მხარს. ისიც კი თქვა, თუ ბიუჯეტში ფული არ იქნება, ამას მე დავაფინანსებო. ბიომეტრიული სია თუ არ იქნა, არჩევნების ჩატარებას აზრი არა აქვს. ხშირად ვსაუბრობთ ევროპაზე, მაგრამ არ გვინდა, ისე ჩავატაროთ არჩევნები, როგორც იქ ტარდება. იქ საარჩევნო ყუთთან არის სკანერი, რომელიც ჩაყრილ ბიულეტენებს ახარისხებს და ითვლის. საქართველოში არჩევნები ასე არ ტარდება და ამიტომაც უამრავ მანიპულაციასთან გვაქვს საქმე.

ცესკომ ეს დანადგარი ტესტირების სახით უკვე გამოცადა, მაგრამ არ დანერგა, იმიტომ, რომ არჩევნების გაყალბება შეუძლებელი გახდებოდა. არჩევნები რომ არ გაყალბებულიყო, არც ასეთი უმაქნისი მთავრობა გვეყოლებოდა და არც ეკონომიკა დაგვექცეოდა თავზე.

– წინა ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ რამდენიმე თვეში მთავრობა შეიცვლება და მისი წევრები გაიქცევიან. ისევ ამ აზრზე ხართ?

– ისევ ამ აზრზე ვარ. მთავრობაში სერიოზული ცვლილებები იქნება. გაქცევა ზოგადად ვთქვი, თუმცა, ისე მიდის საქმე, რომ ზოგიერთს, შესაძლოა, მართლა გასაქცევად გაუხდეს საქმე. როცა აყვავდება ნუში, აქ ძალიან საინტერესო პროცესები დაიწყება. სამთავრობო ძალაში ჩამოყალიბდა რამდენიმე გუნდი, რომელიც არ მოისურვებს პასუხისმგებლობის აღებას არსებულ ჩავარდნაზე. ეკონომიკური ვითარება თუ კიდევ უფრო გაუარესდა, მზად არიან, ეს ვიღაც-ვიღაცებს დააბრალონ.

მე ცვლილებებს იმ დროისთვის ველოდები, როცა ნუში აყვავდება, მაგრამ, შესაძლოა, ეს უფრო ადრე მოხდეს. ფაქტია, რომ ამ მთავრობის მოსვლის დღიდან ლარის გაუფასურება დაიწყო. ეკონომიკური გუნდის მინისტრები ყველა თემაზე საუბრობენ, გარდა ეკონომიკისა.

ამათმა განცხადებებმა ერთი ძველი ამბავი გამახსენა. გასული საუკუნის დასაწყისში სახელოვანი ქართველი მწერლები და პოეტები მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე მწერალთა კავშირის ეზოში იყვნენ შეკრებილი. ისინი საუბრობდნენ იმაზე, თუ რა არის იმისთვის საჭირო, რომ დიდი პოეტი იყო. ერთმა თქვა, სითამამეო, მეორემ – გაბედულებაო, მესამემ – პატრიოტიზმიო, მეოთხემ – ერთგულებაო. ამ დროს გამოიარა გალაკტიონ ტაბიძემ, მივიდა და ამ მწერალ-პოეტებს უთხრა, ნიჭი, ბიძიკოებო, ნიჭიო!

მინდა მივმართო ეკონომიკური გუნდის უმაქნის მინისტრებს, ეკონომიკის გასაჯანსაღებლად, ბიძიკოებო, პროფესიონალიზმია საჭირო, რაც თქვენ არა გაქვთ და ამიტომაც არის, რომ ამდენ სისულელეს ამბობთ.

ხალხის ყურადღების გადასატანად ახლა ვიზალიბერალიზაციაზე დაიწყეს გაუთავებელი საუბრები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში დღეს კონიუნქტურული პოლიტიკა ზეობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაღალჩინოსნებისთვის მთავარია არა გაკეთებული საქმე, არამედ თანამდებობის შენარჩუნება. ამიტომაც არ გვყავს მთავრობაში ერთი კაციც კი, რომელიც ერთი თვით ადრე მაინც გათვლის პოლიტიკურ სვლებს ან ეკონომიკაში მოსახდენ ქმედებებს.

ვიზალიბერალიზაციაზე საუბრით იმ ფუთფუთის გადაფარვაც სურთ, რომელსაც სამთავრობო გუნდში აქვს ადგილი. იქ არიან დაჯგუფებები, რომლებიც მზად არიან, ერთ ადამიანს აჰკიდონ ყველაფერზე პასუხისმგებლობა. ეს დაჯგუფებები არის როგორც მთავრობაში, ასევე უმრავლესობაში. ეს დაჯგუფებები უკვე გიორგი კვირიკაშვილის შესაძლო შემცვლელებზე საუბრობენ. ახლა იმაზე მიდის ფუთფუთი, რომელი დაჯგუფება გაიყვანს პრემიერად თავის კაცს.

– რამდენი დაჯგუფებაა სამთავრობო გუნდში?

– მინიმუმ სამი დაჯგუფებაა. ახლა გვარებს არ დავასახელებ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ერთ-ერთ დაჯგუფებას გარედან ბიზნესმენები უჭერენ მხარს.

– ბიზნესმენები რატომ უჭერენ მხარს?

– რაღაცა შეღავათების მიღებას დაჰპირდნენ. სერიოზული ფუთფუთი მიდის, „ოცნებაში“ ახლა განტევების ვაცს ეძებენ.

– გახდება გიორგი კვირიკაშვილი განტევების ვაცი?

– ალბათ, გახდება. ფაქტია, რომ მის შემცვლელს უკვე ეძებენ. ეს ოფიციალურ დონეზე ჯერ არ ხდება, მაგრამ დაჯგუფებები აქტიურად მუშაობენ. ისინი კანდიდატურებს ერთმანეთშიც კი ათანხმებენ. ახლა იმ სქემას იმუშავებენ, როგორ შესთავაზონ ახალი პრემიერის ვინაობა იმ კაცს, რომელიც საკადრო საკითხებს წყვეტს.

– ეს კაცი ივანიშვილია?

– ის არის ამ ქვეყანაში მთავარი.

– თქვენ ხალხის ყურადღების გადატანაზე საუბრობდით. პრეზიდენტისა და „ოცნების“ მორიგი დაპირისპირებაც ამ მიზანს ხომ არ ემსახურება?

– არა, ეს სახლობანას თამაში, პოლიტიკური ოჩოპინტრეობა, ტიტყინი და ლიკლიკია. ამათი საქციელი უკვე სამარცხვინო სახეს იღებს – ჯერ იყო და უშიშროების საბჭოსთვის დაეტაკნენ ერთმანეთს, უფრო ადრე პრეზიდენტის სასახლიდან მოსთხოვეს მარგველაშვილს გამოსვლა. ახლა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეობაზეა დავა.

იმაზე აღარაფერს ვამბობ, გაეროში ორი დელეგაცია რომ მიდიოდა საქართველოდან. ერთი იყო მთავრობის, მეორე – პრეზიდენტის. გარდა იმისა, რომ ეს ლამაზი არ არის, უზარმაზარი თანხები იფლანგება და რომელი ხარჯების შემცირებაზე ვსაუბრობთ.

ხალხს საერთოდ არ აინტერესებს, ვინ იქნება საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე. მთავარი ის არის, რა ცვლილებები შევა ამ კონსტიტუციაში. ეს ცვლილებებიც იმ გეგმის მაგვარი იქნება, რომელიც მთავრობის დამტკიცებისას წარმოადგინეს. ეს გეგმა საერთოდ არ მუშაობს და ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

ამ გაჭირვებულ მთავრობას საერთაშორისო პროცესები საერთოდ გამორჩა მხედველობიდან. მხოლოდ საკუთარი პრემიები აინტერესებთ და ვერც კი ამჩნევენ, თუ როგორ დინამიკურად ვითარდება ჩვენ გარშემო პროცესები. საერთოდ აღარ ახსოვთ დაკარგული ტერიტორიები. აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე არავინ საუბრობს. მოკლედ რომ გითხრათ, არაფრის აზრზე არ არიან და არც უნდათ რამის სწავლა. არასამთავრობო ორგანიზაციასავით არიან, მიიღებენ რაღაცა დავალებას და დაიწყებენ ფაფხურს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ღალატი მისაბაძ საქციელად აქციეს. თუკი ვინმემ ვინმეს უღალატა, ჩაავლეს ხელი და მაღალ თანამდებობაზე დანიშნეს.

მართალია, ამ მთავრობასთან საუბარს აზრი არა აქვს, მაგრამ ერთ რჩევას მაინც მივცემ – როცა რაღაც მნიშვნელოვან საკითხზე საუბრობთ, ერთი სპიკერი გამოყავით, რომელიც თქვენს სათქმელს იტყვის. ძალიან უხერხულია, როდესაც ერთსა და იმავე საკითხზე პრემიერი არის ალთას, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი – ბალთას, ვიცეპრემიერი საერთოდ სადღაც სხვაგან არის.

– აზრთა სხვადასხვაობა ამათ მართლა ხშირად გამოამჟღავნეს და ეს რისი ბრალია?

– იმის ბრალია, რომ, საკუთარი თავის გარდა, არაფერი აინტერესებთ და ისიც არ იციან, რაზე ლაპარაკობენ. სხვა თუ არაფერი, სირცხვილია.

ნაციონალებს ჰქონდათ ასეთი მეთოდი: რაიმე ცუდს თუ ჩაიდენდნენ, მის გადაფარვას სხვა თემით იწყებდნენ. საბედნიეროდ, ესენი სისხლს არ ღვრიან, მაგრამ ყველა ჩავარდნას გახმაურებული საქმეების ვითომ გახსნით გადაფარავენ ხოლმე. ამის ნათელი მაგალითია ფოტოგრაფების საქმე.

– რატომ მიგაჩნიათ ეს საქმე ვითომ გახსნილად?

– აბა, რა არის? პროკურატურამ მათი დაკავებიდან 4 წლის შემდეგ გვითხრა ის, რაზეც ეს ფოტოგრაფები ციხიდან გამოსვლისთანავე საუბრობენ. ყველამ იცის, რატომ მოხდა მათი დაკავება, მაგრამ დამკვეთს არ ასახელებენ.

იგივე შემიძლია ვთქვა 26 მაისის დარბევის საქმეზე. ამ დარბევის მონაწილეების დიდი ნაწილი დღესაც ძალოვან სტრუქტურებშია დასაქმებული. იმის მაგივრად, რომ ვანო მერაბიშვილისთვის ჩადენილ დანაშაულებზე ეგებინებინათ პასუხი, უაზრო ბრალდებები შეუთითხნეს და ლამის ანგელოზად გამოიყვანეს.

ყველასთვის ცნობილია, ვისი ბრძანებით მოხდა 2011 წლის 26 მაისს ხალხის საშინელი დარბევა. ეს ადამიანი მიხეილ სააკაშვილია, რომელსაც კიდევ ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი, ამათ კი მხოლოდ 2 პალტო, 7 პიჯაკი და ბებიამისის ძველი მანქანა აღმოუჩინეს. არადა, ხალხს სამართლიანობის აღდგენას დაჰპირდნენ. „ოცნებას“ რომ მოენდომებინა, სააკაშვილი დღეს მატროსოვზე იჯდებოდა. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ასე არ მომხდარიყო.

– რატომ თქვა ხელისუფლებამ სააკაშვილის გასამართლებაზე უარი?

– ნაციონალებთან საერთო ენა რომ გამონახეს, ამაზე ბევრს აღარ ვისაუბრებ. ეს დამნაშავე პარტია „ქართული ოცნების“ დახმარებით გახდა მთავარი ოპოზიციური ძალა. რაც შეეხება სააკაშვილს, ხელისუფლებას საშინლად ეშინია მისი ციხეში ჩასმის. „ქართულმა ოცნებამ“ კარგად იცის, რომ თუ ასე მოხდა, ციხესთან ნაცმოძრაობის მხარდამჭერები პერმანენტულ აქციებს გამართავენ, ხელისუფლებას კი აქციების ძალიან ეშინია.

თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს პრესრელიზი

2016 წლის 10 დეკემბერს სტამბოლში მომხდარ საზარელ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით თურქეთის მთავრობამ გამოაცხადა გლოვის დღე, რის გამოც საელჩოში გაიხსნება სამძიმრის წიგნი.

მსურველებს შეუძლიათ, ჩანაწერი დატოვონ 14 დეკემბერს, 10.00-დან 13.00 და 14.00-დან 17.00 სთ-მდე და ასევე, 15 დეკემბერს 10.00-დან 13.00 სთ-მდე.

პრეზიდენტის ადმინისტრაცია ხარჯების შემცირებას არ გეგმავს

– პრეზიდენტის ადმინისტრაცია ხარჯების შემცირებას არ გეგმავს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბიუჯეტი ოპტიმალური და მაქსიმალურად მორგებულია ადმინისტრაციის საჭიროებებზე.

ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ სამშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, როდესაც უპასუხა კითხვას, მთავრობის მსგავსად, ხომ არ გეგმავს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ადმინისტრაციული ხარჯების გადახედვას.

როგორც მიშველაძემ განმარტა, ოპტიმიზაცია ხდება იმ დაწესებულებებსა და უწყებებში, სადაც არსებობს ამის საჭიროება და აუცილებლობა.

– აქ კი ყველა თანამშრომელი ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, – განაცხადა მიშველაძემ.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლევან ბერძენიშვილი: „პრეზიდენტს ღიად მიაყენეს შეურაცხყოფა“

„ჩემთვის გაუგებარია, რატომ წავიდა უმრავლესობა მარგველაშვილთან ასეთ გამწვავებაზე“

ნათია ხურცილავა

ჰესპუბლიკური პარტიის ეროვნული ლიდერი, პარლამენტის ყოფილი წევრი ლევან ბერძენიშვილი „ახალი თაობასთან" ინტერვიუში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის იმგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მუშაობისგან თავი შეიკავა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, რასაც არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. უნდა ჩაერთოს თუ არა ადმინისტრაცია პროცესში, თქვენი პოზიცია როგორია?

– როდესაც ადამიანი აცხადებს ერთს და მეორეს აკეთებს, ამ შემთხვევაში საკითხი დგება, რამდენად სანდოა ეს ადამიანი.

– ვის გულისხმობთ?

– იმას, ვინც განცხადება გააკეთა, რომ ეს კომისია იქნება მრავალმხრივი, რომ ყველა პარტიისა თუ ყველა მხარის ინტერესები, მოსაზრებები იქნება გათვალისწინებული.

ეს იყო ნათქვამი კობახიძის მიერ. სწორედ ამასთან დაკავშირებით განაცხადა პრეზიდენტმა, რომ ის სიამოვნებით მიიღებდა კომისიის მუშაობაში მონაწილეობას. პრეზიდენტ მარგველაშვილს ჰქონდა მოსაზრება, რომ პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერი და პრეზიდენტი კომისიის თანათავმჯდომარეები ყოფილიყვნენ. რამდენად სწორია ეს აზრი ან არ არის სწორი, ამის გარჩევას არ დავიწყებ. ეს სულ სხვა თემა მგონია და ჩემი გადასაწყვეტი არ არის. მე ვფიქრობ, რომ პრეზიდენტს აშკარად და ღიად მიაყენეს შეურაცხყოფა.

– ეს რით გამოიხატა?

– იმაში, რომ შენ არა, მაგრამ შენი აპარატი გამოუშვი და მათ ვამუშავებთო. პრეზიდენტს უთხრეს, რომ მას არ აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მაგრამ ეს უფლება მით უფრო ხომ არ აქვს პრეზიდენტის აპარატს?! ასე ვთქვათ, დასცინეს საზოგადოებას. ერთპარტიულობა და ასეთი უმრავლესობა არასდროს არ არის კარგი მასწავლებელი. ამიტომ, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რას იტყვის. ფაქტია, რომ ურთიერთობა გააფუჭეს.

– ახალი დაპირისპირების მოწმენი ვართ?

– დიახ, ჩვენ ვართ ახალი დაპირისპირების მოწმენი პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის, რისი თავიდან აცილებაც ნამდვილად შეიძლებოდა, ამის სურვილი რომ ჰქონოდათ.

– როგორ შეიძლებოდა თავიდან აცილება?

– ასეთი სურვილი რომ გაგიჩნდეს, მაღალი პოლიტიკური კულტურა უნდა გქონდეს. ვის უნდა ჰქონდეს მაღალი პოლიტიკური კულტურა, ხალხი პარლამენტში პირველად არის ნამყოფი და სხდომათა დარბაზს ვერ აგნებენ. პირველ სესიას 20 დეპუტატი დააკლდა, ასეთი პარლამენტი აირჩიეს, ჩვენ კი ტელევიზორის პოლიტიკოსებს გვიწოდებენ.

ეს რა განცხადებაა, მხოლოდ მათ უნდა ისაუბრონ?! პარლამენტის თავმჯდომარე თავის ჩვეულ პოზაში დადგება და იტყვის, თუ როგორ უნდა ისაუბროს პრეზიდენტმა, მაგრამ, მას ვინ ჰკითხავს, როგორ უნდა ისაუბროს პრეზიდენტმა. პრეზიდენტი ხალხის მიერ 62%-ით არის არჩეული და ის არ მოიქცევა ისე, როგორც მას უკარნახებს ახალი პოლიტიკური ფიგურა.

ჩემთვის გაუგებარია, რატომ წავიდნენ ასეთ გამწვავებაზე, როდესაც შეიძლებოდა სრულიად უმტკივნეულოდ ამ საქმის გადაწყვეტა და პრეზიდენტის ჩართვა. ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტს მხოლოდ სათათბირო ხმა ექნებოდა, უმრავლესობას ხომ ვერ შექმნიდა კომისიის შიგნით?! უბრალოდ, არ მესმის, ამ მცდელობის უკან რა დგას.

– ხელოვნურია ეს ყველაფერი?

– რა თქმა უნდა, ხელოვნურია, რადგან პრეზიდენტს არ ჰქონდა არანაირი საშუალება, კომისიის მუშაობისთვის ხელი შეეშალა, დაესწრებოდა და თავის მოსაზრებას იტყოდა, ეს არის და ეს. რა იქნებოდა ამაში ცუდი, არ ვიცი და არ მესმის, მით უმეტეს, როდესაც მას შეჰპირდნენ, რომ ეს ასე იქნებოდა. პრემიერ-მინისტრმა უკვე მერამდენედ გატეხა სიტყვა. რამდენიც არ უნდა იბობოქრონ ჩვენმა ახალმა პოლიტიკურმა ფიგურებმა, ყველამ იცის, რომ მათ უკან ერთი ნება და ერთი სურვილი – ბიძინა ივანიშვილი დგას.

„ქართული ოცნებიდან“ წინადადება ურთიერთობების დათბობაზე არ გვქონია“

– პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით რესპუბლიკური პარტიის პოზიცია ცნობილი იყო. ხომ არ შეიცვალა?

– არა, ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტი არჩეულმა ხალხმა უნდა აირჩიოს – პარლამენტმა, საკრებულომ, აჭარის პარლამენტმა და ა.შ. ჩვენი ეს წინადადება ძალიან ძველია, 1978 წლიდან ასე ვფიქრობთ. არასდროს გვითქვამს, რომ მხოლოდ პარლამენტმა აირჩიოს პრეზიდენტი. ჩვენი და საპარლამენტო უმრავლესობის პოზიცია არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს ის არ არის, რასაც ისინი ახლა აპირებენ. არა მგონია, პრეზიდენტის არჩევის წესში იყოს პრობლემა.

– რაშია პრობლემა?

– პრობლემა იმაშია, რომ ადამიანებს არ სურთ მათ მიერ არჩეულ პრეზიდენტთან თანამშრომლობა. ის არ არის ვიღაცის მიერ მოყვანილი პრეზიდენტი. ბიძინა ივანიშვილმა დაგვისახელა ეს ადამიანი და, რადგან უმრავლესობა უჭერდა მხარს, 62%-მა აირჩია. ეს არ არის პერსონალური ამბავი. ეს არის ინსტიტუციის მიმართ გამოხატული დამოკიდებულება. მარგველაშვილთან კი არ არის პრობლემა, პრობლემა არის პრეზიდენტის ინსტიტუტთან. ეს უნდა გაიაზრონ და აქედან გამომდინარე უნდა იმოქმედონ.

– საკონსტიტუციო კომისიაში მიიღებთ მონაწილეობას?

– როდესაც იქნება შემოთავაზება, ვნახავთ, რა ფორმატია, განვიხილავთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას. ჩვენ მიგვიღია ასეთ საქმიანობაში მონაწილეობა, ჩვენი წინადადებებიც და ვერსიებიც გვქონია. უკან არ დავიხევთ ამ თვალსაზრისით, მაგრამ არც „ქართული ოცნებიდან“ და არც პარლამენტიდან ჯერ ასეთი წინადადება, შემოთავაზება მეგობრობაზე, ურთიერთობების დათბობაზე არ გვქონია.

დიმიტრი ქუმსიშვილს ტანში აჟრიალებს

აკაკი ზოიძე: „2017 წლის ბიუჯეტი არის ის გზა, რომელსაც ტაძრისკენ მივყავართ“

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტში 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა დაიწყო.

ფინანსთა მინისტრმა ქვეყნის მთავარი ეკონომიკური დოკუმენტი ოპოზიციის სამსჯავროზე გაიტანა. დიმიტრი ქუმსიშვილისა და მისი გუნდის შედეგრი ნაციონალებმაც დაიწუნეს და პატრიოტთა ალიანსის წევრებმაც. განსაკუთრებული დაუნდობლობით ნაციონალები გამოირჩეოდნენ, თუმცა, ქუმსიშვილის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ის კარგად ახერხებდა შეტევების მოგერიებასა და უცნაური განცხადებების გაკეთებასაც.

ფინანსთა მინისტრის გარდა, ბიუჯეტის პროექტს „ქართული ოცნების“ დეპუტაციაც აქებდა. ყველაზე შთამბეჭდავი შეფასება პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძეს ჰქონდა.

– 2017 წლის ბიუჯეტი არის ის გზა, რომელსაც ტაძრისკენ მივყავართ, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

ზეოპტიმისტურად არის განწყობილი ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი თაბუაშვილი. ის იმდენად ოპტიმისტია, რომ ლარის გაუფასურებასაც კი ვერ ამჩნევს.

30 მილიონ ლარზე.

ფინანსთა მინისტრი კი მიიჩნევს, რომ 30 მილიონი ლარი ხელისუფლებამ სწორად დახარჯა. ამის დასამტკიცებლად მან ის ამბავი გაიხსენა, რომელზეც დღემდე აჟრიალებს.

– მოგიყვებით მარტივ მაგალითს. ვგიჟდები ამ მაგალითზე, რომელიც მე შემემთხვა. მიყვარს მარიამობის სვანეთში შეხვედრა. უშგულში არის უმშვენიერესი ეკლესია. ოჯახთან ერთად შარშან ვიყავი უშგულში. იქ ყველა სახლს აწერია საოჯახო სასტუმრო. გავჩერდით ერთ სახლში. ბევრნი ვიყავით, ძალიან მოვილხინეთ. დილით ბავშვებისთვის სუვენირების შეძენა მოვინდომე.

ბრჭყვიალა ქვა – კაჟი, რომელიც მდინარეს მოაქვს, 20 ლარი ღირდა. 20 ლარი ღირს ხელით გამოთლილი პატარა სვანური კოშკი. მყავს სამი შვილი. ამოვიღე ჯიბიდან ფული, რომ მათთვის მეყიდა.

ძალიან გამიხარდა, როდესაც მე ქალბატონს 100-ლარიანი გავუწოდე, მან ჯიბიდან ამოიღო ფულის ბღუჯა! ახლაც ტანში მაჟრიალებს. გეფიცებით, სიამოვნებისგან კინაღამ დავკოცნე ის ქალი.

ეს არის ტურიზმის გავლით, ოღონდ სხვანაირად არ კეთდება. ეს თავისით არ ხდება. როდესაც ჩვენ მიზნობრივ ბაზრებზე გავდივართ, როდესაც მნიშვნელოვან ღონისძიებებს ვატარებთ, მთელი ტურიზმია გათვლილი. ჩვენ ჩამოგვყავს წამყვანი ტელეკომპანიები, ვაკეთებინებთ გადაცემებს, ჩამოგვყავს ჟურნალისტები. ეს ბიუჯეტი თავიდან ბოლომდე გაწერილია, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

ის, რაზეც ქუმსიშვილს დღემდე აჟრიალებს, ვიცესპიკერ ირმა ინაშვილისთვის არაფრის მთქმელია. მისი თქმით, მინისტრმა ისეთ ხატოვან ფერებში დახატა ყველაფერი, მოეჩვენა, რომ ან საფრანგეთში იყო, ან გერმანიაში.

ჟრიალისგან გათავისუფლების მიზნით ირმა ინაშვილი ფინანსების მამას ხალხში გასვლას ურჩევს.

– საქართველოში რომ არ ვცხოვრობდე, ვიფიქრებდი, რომ მე ვუსმენ საფრანგეთის ან გერმანიის ფინანსთა მინისტრს. ძალიან მიხარია, რომ თქვენ მოგინდათ მოფერებოდით ისეთ უმცირესობაში მყოფ ქალბატონს, რომელმაც თურმე ლარების ბღუჯა ამოიღო. მე გამიხარდებოდა, რომ ასეთი ქალბატონი ბევრი იყოს და ეს თქვენც გაგიხარდებოდათ, მაგრამ, ჩემგან განსხვავებით, თქვენ ხატოვნად ხედავთ, ზემოდან უყურებთ ცხოვრებას და ჰაწვალიდან უყურებთ საქართველოს.

საქართველო ქვემოთ არის, ხალხშია, სადაც 50.000 ბავშვი შიმშილობს, სადაც 50.000-ზე მეტი დედა არასათანადოდ იკვებება, სადაც ყოველი მეხუთე ბავშვი შიმშილობს, სადაც ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

ჩვენ ის ქვეყანა ვართ, სადაც ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დიდი აქცენტი კეთდება, მაგრამ ჩვენ იმ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც წელიწადში 300 ბავშვი კვდება შიმშილით. თქვენ მოგვიგებთ ციფრებით მანიპულაციებით, მაგრამ მეც მოგიგებთ, ჟურნალისტური ჟანრები რომ დავშალო, თუმცა გარეთ უნდა შევხედოთ რეალობას.

თუ ასეთი მაგრები ხართ, თუ ასეთი ჭკვიანები და კომპეტენტურები ხართ, ლარი ასე რატომ გაგექცათ?

ქვეყანა და ხალხი ასე რატომ გააღარიბეთ? რატომ იტყუებოდით ამ დარბაზიდან, როცა ამბობდით, რომ პროდუქტზე ფასები არ გაიზრდება? მოგიწოდებთ, რომ ჰაწვალიდან ბარში დაეშვათ, სადაც 50.000 ბავშვი გვიკვდება შიმშილისგან, – მიმართა აღშფოთებულმა ინაშვილმა ტანში ჟრიალშეპარულ ქუმსიშვილს.

* * *

პატრიოტთა ალიანსის ქალების ავად თუ კარგად მოგერიების შემდეგ ფინანსთა მინისტრს უკვე ნაციონალებთან მოუწია სიტყვიერმა ომმა.

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ხელისუფლებას ცუდი მომავალი უწინასწარმეტყველა, ქუმსიშვილისგან კი იმის გაგება მოითხოვა, თუ ლარის რა კურსის შემთხვევაში დატოვებს თანამდებობას.

დეპუტატმა ლარის დევალვაცი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გიგა ბოკერია: „თქვით პირდაპირ, რომ ხალხი მოატყუეთ“

– ლარის გაუფასურება არ დაიჯეროთ, ყველაფერი კარგად იქნება, – ასე დაამშვიდა მედია ქუმსიშვილის მოადგილემ.

პესიმისტურად განწყობილი არც ფინანსთა მინისტრი იყო. მეტიც, მან დეპუტატებს იმ ქალის შესახებაც კი მოუყვა, რომლის გახსენებაზეც ახლაც აჟრიალებს.

ეს ქალი მას ქალმა დეპუტატმა ადა მარშანიამ გაახსენა, რომელმაც ქვეყანაში არსებული ვითარება გააპროტესტა. მან თქვა, რომ ხელისუფლებას გაჭირვებაში მყოფი ხალხისთვის უნდა მოეხმარებინა ის ფული, რომელიც ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით რეკლამებში დაიხარჯა. საუბარია

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

„არავის აინტერესებს, ვსუნთქავთ თუ არ ვსუნთქავთ“

საქართველოში 223 სოფელი ნასოფლარად იქცა

მოსახლეობის 2014 წლის აღწერით, საქართველოში 223 სოფელია, სადაც მოსახლეობის გრაფაში 0 წერია, რაც იმას ნიშნავს, რომ წინა აღწერის დროს, ანუ 2002 წელს, შეიძლება ვიღაც კიდევ იყო რეგისტრირებული, მაგრამ ახლა აღარავინ სახლობს.

ყველაზე მეტი, 75 ნასოფლარი, რეგიონებიდან მცხეთა-მთიანეთშია, მუნიციპალიტეტებიდან – ახმეტასა და დუშეთში, შესაბამისად, 51 და 40 ნასოფლარით. ეს ძირითადად ხევსურეთისა და თუშეთის სოფლებია.

სულ რაღაც 120 წლის წინ, კერძოდ, 1897 წელს, საქართველოს მოსახლეობა 1.919.000 კაცი იყო და აქედან ქალაქის მცხოვრები მხოლოდ 16%. 84% სოფლად ცხოვრობდა.

2014 წლის აღწერით, მოსახლეობის 57% ქალაქში ცხოვრობს. ეს ოფიციალურად, თორემ არაოფიციალურად – გაცილებით მეტი.

უკანასკნელ ასწლეულში სულ უფრო მეტად ტოვებს ხალხი სოფელს, სამაგიეროდ, ქალაქის, უფრო მეტად, თბილისის მოსახლეობის ხვედრითი წილი იზრდება და ქვეყანა თავკომბალას ემსგავსება. ადამიანების მესამედზე მეტი დედაქალაქში ცხოვრობს.

2014 წლის აღწერის შედეგებით, ქვეყანაში 3.633 სოფელია, სადაც 1.591.000 კაცია, ანუ მოსახლეობის 42%.

157 სოფელია 1-დან 5 მცხოვრებით, 98 სოფელში 5-10 კაცია, 828 სოფელში – 11-100 კაცი, 45-ში – 3.001-5.000 და მხოლოდ 12 სოფელია, სადაც 5 ათას კაცზე მეტი ცხოვრობს.

– სინათლე აქ არ არის, გზა და ტელეფონი. აი, ახლაც მესამე დღეა, არ გვაქვს ელექტროენერგია. ისედაც თითქმის არ იჭერს ტელეფონი და ახლა ვერც დავტენეთ. დუშეთში შვილთან დალაპარაკება მინდა, მაგრამ როგორ? რამდენი ვართ სოფელში? მოიცა, დავთვალოთ. ქვემოთ, ჩვენამდე, ხომ ნახეთ, ერთი ოჯახია, აქვე, მანქანა რომ დგას – მეორე, მე და ჩემი შვილი ორ კომლად ვართ, ჩვენ მერე კიდევ ერთი, გაღმა – სამი, ზემოთაც კიდევ რამდენიმე.

მოკლედ, 11-12 კომლი ვიქნებით, კომლი რა? უმეტესად ერთი-ორი ადამიანია, – გვეუბნება მარუსა დეიდა, – ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, ხეობის ბევრ სოფელში 3-4 ოჯახია, ზოგან ამდენიც არა, ზოგი სოფელი საერთოდ დაიცალა.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებით, ლუთხუბში ოფიციალურად რეგისტრირებულია 23 ადამიანი. წინა აღწერით, აქ 80 კაცი ცხოვრობდა.

დღეს გუდამაყრის ხეობაში ლუთხუბს მოსახლეობით მხოლოდ მაქართა და კიტოხი აღემატება. იქ, შესაბამისად, 40 და 25 კაცი ცხოვრობს.

გუდამაყარში 22 სოფელია, მაგრამ ზამთარში სოფლების უმეტესობა იცლება. ბევრგან 2-3 ან მაქსიმუმ 10 ოჯახია.

მთელ გუდამაყარში ერთადერთი სკოლაა 11 მოსწავლით.

* * *

სად გვაქვს ყველაზე მეტი ნასოფლარი?

რეგიონებიდან მცხეთა-მთიანეთი ლიდერობს, მუნიციპალიტეტებიდან – ახმეტა და დუშეთი, შესაბამისად 75, 51 და 40 ნასოფლარით.

ეს ძირითადად ხევსურეთისა და თუშეთის სოფლებია, რომელთა დაცლა ხელისუფლების მითითებითაც ჯერ კიდევ კომუნისტების პერიოდში, გასული საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო.

აჭარაში 3 ნასოფლარია, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 7 (აქედან 4 მესტიაში), იმერეთში – 8, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, ასევე სამცხე-ჯავახეთში – 10-10, ქვემო ქართლში – 13 (ყველა თეთრიწყაროში), შიდა ქართლში – 44 (21 გორში), კახეთში – 53 (აქედან 51 ახმეტაში, უმეტესობა თუშეთში), მცხეთა-მთიანეთში – 75 (აქედან 40 დუშეთის რაიონში, 21 – ყაზბეგში).

გურიაში არის სოფლები, სადაც 1-2 კაცია, მაგრამ ჯერ იქ არიან.

თუშეთის 52 სოფელში მხოლოდ 47 კაცია რეგისტრირებული (30 მამაკაცი და 17 ქალი), აქედან 37 ომალოში, დანარჩენ სოფლებში: შენაქოში, ჩიღოში, წაროსა და ბოჭორნაში 1-2-4 კაცია.

რა შეუძლია ერთ ადამიანს? ექიმი ირაკლი ხვედაგურიძე ერთადერთია, რომელიც ბოჭორნაშია რეგისტრირებული, ამიტომ ნასოფლარი სოფელი გახდა და გომეწრის ხეობაში, ზღვის დონიდან 2.345 მეტრზე მდებარე ბოჭორნა ევროპაში ყველაზე მაღალმთიან დასახლებულ პუნქტად იქცა.

ოდესღაც, კომუნისტების პერიოდში, 1989 წლამდე ყველაზე მაღალმთიან სოფლად თრუსოს ხეობის სოფელი რესი ითვლებოდა. რესი დღესაც უფრო მაღლაა, 2.405 მეტრზე, მაგრამ ვეღარ სოფლობს, იქ ახლა აღარავინ ცხოვრობს. საერთოდ, მთელ ხეობაში თითქმის აღარავინ რჩება, მიტოვებულია იქაურობა, მხოლოდ ბერები და მესაზღვრეები არიან. ყაზბეგის რაიონის 21 სოფლიდან უმეტესობა სწორედ თრუსოშია.

– ბისოში, ხახმატში აღარავინ არის, ჩირდილს იქით გზაც აღარ იწმინდება, პირიქითა ხევსურეთში 20-30 კაცი თუ იქნება მუდმივი მცხოვრები, სკოლაში 7 მოსწავლე ჰყავთ. აქეთ, ბარისახოს სკოლაში 65 მოსწავლეა. ეს კატასტროფაა, რადგან 34 სოფლის შვილები არიან ესენი, – ამბობს ტრისტან არაბული, ბარისახოს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

თუშეთში კი წლებია, სკოლა აღარავის სჭირდება.

დუშეთში ბოლო დროს ნასოფლარებად იქცა: ბანცური, დავითურნი, ჩადის ციხე (ფასანაურის თემი), კადოეთი და უფურეთი (ანანურის თემი), ათნოხი, ბურსაჭირი (გუდამაყარი), არბაჩხანი, საშავარდნო, ჭაშა, ახალი, ბეტისჩრდილი (ფშავი), ჩოხელნი, შარმიანი, ციხიანი, ჟოჟონუ, უშარნი, სონჩო, მუღურე, ქოროღო (ხადას ხეობა და ქვეშეთის თემი), ქმოსტი, ღული, ოხერხევი (პირაქეთა ხევსურეთი, ბარისახოს თემი), ანდაქი (შატილის თემი).

– ეს ხეობა არავის ახსოვს. ეგრე უპატრონო კუთხედ არის ქცეული. ჩვენთვის არაფერია... არც გაზი, არც გზა. ვარსებობთ, არ ვარსებობთ, ვსუნთქავთ, არ ვსუნთქავთ, არავის აინტერესებს, – გვითხრა რამდენიმე წლის წინ ნათელა ზაქაიძე-მგელაშვილმა, რომელიც თავისი სამი შვილით უკანაფშავში, სოფელ გოგოლაურთაში ცხოვრობდა.

ვეღარ გაძლეს და მგელაშვილები ახმეტაში გადავიდნენ საცხოვრებლად.

* * *

ქვეყნის მხარეებიდან მიგრაციის მაჩვენებლითა და მოსახლეობის სიმცირით პირველ ადგილზე რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთია. ახლა იქ სულ 31 ათასი კაცი ცხოვრობს.

თბილისში, მარტო გლდანი-ნაძალადევის რაიონში 325 ათასი კაცია, ანუ თითქმის 10-11-ჯერ მეტი. თუმცა, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ჯერ კიდევ არის შედარებით დიდი სოფლები, ჯერ მთლად არ გათითოკაცებულა აქაურობა. კავკასიონის ქედს გადაღმა მდებარე ხევსურეთი და თუშეთი კი გაცილებით ადრე დაიცალა.

– ამ ახალ წელს შატილში 5-6 ოჯახი, უფრო სწორად, 10-12 აქაური და კიდევ რამდენიმე სტუმარი შევხვდით. სამოქალაქო რეისი დეკემბრის ბოლოს იყო და სკოლის მასწავლებლების, მოსწავლეების დიდი ნაწილი და მათი მშობლებიც არდადეგებზე ბარისკენ წამოვიდნენ, – გვითხრა 2 წლის წინ ელისო ჭინჭარაულმა.

მისი მეუღლე, მიხეილ ჭინჭარაული, შატილის თემის ექიმია და იშვიათად ტოვებს სოფელს.

ჩაკეტილ უღელტეხილს იქით დარჩენილ კუთხეში ზამთარში ყველაზე მეტად ადამიანები ენატრებათ. სტუმარი და ხმის გამცემი ხომ მთაში ისედაც ძვირად ფასობს. ზამთარში მთაში მოხვედრილი ხვდები, რად იწერებოდა ჯერ კიდევ საუკუნის წინ „სტუმარმასპინძელი“ და რად ამბობდა ამ პოემის გმირი, დღეს სტუმარია ის ჩემიო.

* * *

„სოფელი სოფელს გასძახის „დაილიე თუ ხარაო“, – მარიამ წიკლაურისაც არ იყოს, ასეა საქართველოს ბევრ სოფელში, მოპასუხედ არავინ არის დარჩენილი.

მიდიხარ და ხშირად ხმის გამცემი არავინ გხვდება: გაუკვალავი თოვლი, გაშავებული სახურავები, ჩაბნელებული ფანჯრები და ბოქლომდადებული ჭიშკრებია ირგვლივ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

დიმიტრი ქუმსიშვილს ტანში აჟრიალებს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ით დამძიმებულ მინისტრს ახალი ბრალიც აჰკიდა. ჭიაბერაშვილის განცხადებით, რამდენჯერაც კვირიკაშვილი და ქუმსიშვილი განცხადებას გააკეთებენ, ლარი ეცემა და ეცემა.

– რამდენჯერაც თქვენ და ბატონი კვირიკაშვილი განცხადებებს აკეთებთ, ლარი ეცემა და ახალ-ახალ ანტირეკორდს ამყარებს. მინდა გთხოვოთ, რომ აღარანაირი გეგმა, ნაბიჯები, ინიციატივები არ გამოაცხადოთ, რადგან ეს პირდაპირ აისახება ჩვენი მოქალაქეების ჯიბეზე.

ღრმად მწამს, რომ თქვენი მთავრობა 4 წელს კი არა, 1 წელსაც ვერ გაძლებს, წინ ისეთი კრიზისი გველოდება თქვენი მავნებლური ეკონომიკური პოლიტიკის გამო. თუმცა, სანამ ხართ, მინდა გთხოვოთ, რომ განცხადებებს მაინც ნუღა გააკეთებთ, რადგან ძალიან დიდ ზიანს აყენებთ ამ ქვეყნის მოქალაქეებს. ამიტომ ჩემი კითხვა არის ძალიან მარტივი – ლარის რა კურსზე დატოვებთ თანამდებობას, როგორც ფინანსთა მინისტრი? – ჩაეკითხა კანონმდებელი მინისტრს.

ჭიაბერაშვილის მიერ დამოძღვრილმა მინისტრმა ნაცმოძრაობის მოთხოვნით მოსახლეობას რჩევებიც მისცა – ოთარ კახიძე დაინტერესდა, თუ რას ურჩევდა ვიცეპრემიერი მოსახლეობას ლარის გაუფასურების ჟამს.

– რაც შეეხება რჩევას ადამიანების მიმართ, მათ უნდა გადაალარონ თუ არ უნდა გადაალარონ, ვიტყვი, რომ ყველა ადამიანმა უნდა მიიღოს ეს გადაწყვეტილება თვითონ და ყველა ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს, მას უნდა ამის გაკეთება თუ არა, – აღნიშნა პირველი ვიცეპრემიერმა.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია დაინტერესდა, ვინ დაადგინა, რომ 33.000 ფიზიკური პირი, რომლებსაც დოლარში აქვთ გრძელვადიანი სესხი, ყველაზე გაჭირვებული ფენაა.

ფინანსთა მინისტრთან შეხვედრაზე დეპუტატმა ის გადაწყვეტილებაც გააპროტესტა, რომლის მიხედვითაც, ბანკებს ბიუჯეტიდან 65 მილიონი გამოეყოთ დოლარში აღებული გრძელვადიანი სესხების კონვერტაციისთვის.

ირმა ინაშვილი: „მოგიწოდებთ, ჰაწვალიდან ბარში დაეშვათ“

მელია განსაკუთრებით პირველი ვიცეპრემიერის ცვალებადობით არის შეშფოთებული. მისი თქმით, მთავრობის დამტკიცების შემდეგ ქუმსიშვილის რიტორიკა საგრძნობლად შეიცვალა.

– შეუძლებელია, არ დავინახო კონტრასტი ამ ქუმსიშვილსა და იმ ქუმსიშვილს შორის, რომელიც სულ რაღაც სამი კვირის წინ იჯდა ამავე დარბაზში მთავრობის დამტკიცებისას და სადაც ის და თავისი კოლეგები საუბრობდნენ განვითარებულ ქვეყანაზე, წინსვლაზე, თუმცა დღეს საუბარი გიწევთ გაზრდილ ფასებზე, გადასახადების ზრდაზე და ა.შ. ეს არ გიხსენებიათ არც თქვენ, არც პრემიერ-მინისტრს, – განაცხადა შეცბუნებულმა მელიამ.

მელიას შეფასებამ ქუმსიშვილი ისე გაანაწყენა, რომ მან დეპუტატს პასპორტის სახელით მიმართა, ამასთან, იმასაც ამტკიცებდა, მე იგივე ვარ მარად და მარადო.

– ნიკანორ მელიამ ბრძანა, ვერ ვცნობ ამ კაცსო, გვესაუბრებოდა ეკონომიკურ განვითარებაზეო და ახლა ბევრ კითხვაზე უწევს პასუხის გაცემაო. ბატონო ნიკანორ, იგივე ვარ, ვინც ვიყავი, არაფერი შეცვლილა, მათ შორის, ჩემს დამოკიდებულებაშიც, – აღნიშნა შეუცვლელმა ქუმსიშვილმა.

პირველ ვიცეპრემიერს ყველაზე მეტად გიგა ბოკერიასთან დაეძაბა ურთიერთობა. ის დეპუტატს გიორგი კვირიკაშვილის გამო წაეჩხუბა.

გიგა ბოკერიამ პრემიერი და მთელი მთავრობა ამომრჩევლის მოტყუებაში დაადანაშაულა.

– რატომ არ ეწერა „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში გადასახადების ზრდის შესახებ? თქვენ მოატყუეთ ამომრჩეველი, – მიმართა დეპუტატმა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს.

ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს ფინანსთა მინისტრი.

– საარჩევნო პროგრამაში საბიუჯეტო სახსრების მობილიზება აღნიშნული იყო – მე არ მომიტყუებია ამომრჩეველი, ჩვენ არ მოგვიტყუებია ამომრჩეველი. ეს ბილბორდებზე არ იყო ასახული, თუმცა საარჩევნო პროგრამაში საბიუჯეტო სახსრების მობილიზება წერია, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

ამ პასუხმა უკვე გიგა ბოკერია გამოიყვანა წყობილებიდან.

– მე ვიცი, რომ თქვენ საკუთარ თავს პატივს სცემთ. ეს პასუხი პასუხია?! საბიუჯეტო სახსრების მობილიზება და გადასახადების აწევა ხალხისთვის ერთი და იგივეა?! თქვით პირდაპირ, რომ მოატყუეთ, ვერ გაუბედეთ ამომრჩეველს ამის თქმა, ან ვერ გათვალეთ და კომპეტენცია არ გყოფნით. სხვა გზა არ არსებობს. საბიუჯეტო სახსრების მობილიზაცია, გადასახადების ზრდაო, ამას რომ მინისტრი იტყვის, რა სახელი დავარქვა? პოლიტიკურად იმცირებთ თავს, ვერ ხვდებით ამას?! – მიმართა ბოკერიამ ქუმსიშვილს.

ფინანსთა მინისტრი განსაკუთრებით იმ ფაქტმა აღაშფოთა, რომ ბოკერიას კვირიკაშვილი ჯერ ირაკლი ღარიბაშვილში შეეშალა, შემდეგ კი – ივანიშვილში.

– გიორგი კვირიკაშვილი ძალიან ვაჟკაცი, მოსიყვარულე და პატრიოტია. ის არც ღარიბაშვილია და არც ივანიშვილი, – ჩააზუსტა ვიცეპრემიერმა.

მისმა ტონმა ბოკერიას წონასწორობა დააკარგვინა.

– შეურაცხყოფად მიიღეთ, გვარი რომ შემეშალა? შეურაცხყოფაა ეს? – ბოროტი ინტერესით იკითხა დეპუტატმა.

ნაციონალებიდან საკონტროლო „ტყვია“ მთავრობას საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ დაახალა. მან მთავრობა ლარის კურსის დახრჩობაში დაადანაშაულა. მანამდე ქუმსიშვილი ლარის მცურავ კურსზე ლაპარაკობდა.

– ახლა გამოქვეყნდა ლარის ახალი კურსი. ერთი დღის განმავლობაში ლარის კურსის ხუთპუნქტიანი ვარდნა გვაქვს. ეს კურსის ძალიან სერიოზული ვარდნაა. წეღან მოვისმინეთ, რომ ეს არის მცურავი კურსი. მე შეიძლება ვთვლიდე, რომ თქვენ არ შეგიძლიათ ლარის დასტაბილურება, არ შეგიძლიათ ეკონომიკის წინ წაყვანა, ქვეყნის მართვა, მაგრამ, ნამდვილად არ მჯერა, რომ ცურვა მაინც არ იცით.

ცურვა ნიშნავს იმას, რომ ზედაპირზე იმყოფებით და, როდესაც მუდმივად ქვევით-ქვევით ეშვებით, ეს ცურვა აღარ არის. ეს მცურავი კურსი აღარ არის, ეს უკვე დამხრჩვალი კურსია. ამ მდგომარეობამდე ლარი თქვენ მიერ გატარებულმა ნაბიჯებმა მიიყვანა, – დაასკვნა დავით ბაქრაძემ.

დასავლეთი საქართველოში ახალ პოლიტიკურ დასაყრდენს ქმნის

ვინ შევა ახალ მოძრაობაში?

ნაახალიწლევს, ჯერჯერობით, 2017 წლის იანვრის ბოლოს ან, მინიმუმ, თებერვლის დასაწყისში, ქართული პოლიტიკა, უფრო კონკრეტულად, ქართული პოლიტიკის დასავლური ფრთა გააქტიურდება.

ნიუპოსტის ინფორმაციით, ახალი პროდასავლური ერთობის გეგმა უკვე შემუშავების რეჟიმშია.

წყაროს ცნობით, პროდასავლური მოძრაობა საქართველოში დასავლეთის ახალი დასაყრდენი იქნება. ის თავისი სტილითა და შინაარსით ახალი ერთობა იქნება, სადაც საზოგადოება იხილავს დიპლომატებს, მოქმედ პოლიტიკურ ლიდერებსა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებსა და ექსპერტებს.

აღნიშნული მოძრაობისთვის პრორუსული გზა ერთ-ერთი მთავარი წითელი ხაზია. საქართველოს მომავალი განვითარება მხოლოდ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე გადის.

ეს ახალი პროდასავლური ერთობა თავისი შინაარსით ქართული პოლიტიკისთვის სრულიად ახალი მოვლენა იქნება. თავდაპირველად, ამ ერთობას მოძრაობის სახე ექნება და ამ ეტაპზე მისი პოლიტიკურ გაერთიანებად ტრანსფორმაცია დღის წესრიგში არ დგას, თუმცა სამომავლოდ არაფერია გამორიცხული.

ნიუპოსტის წყაროს ცნობით, ამ მოძრაობას ექნება პოლიტიკური მხარდაჭერა როგორც ევროპის, ასევე შეერთებული შტატების პოლიტიკური წრეებიდან. მათ შორის ფინანსური კაპიტალიც დასავლური არხებით იქნება უზრუნველყოფილი.

ზოგადად, 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დამკვიდრდა აზრი, რომ ქართული პოლიტიკა პროდასავლური სეგმენტისგან გაიწმინდა. ამ შეხედულების პედალირებას შეიძლება ვინმე მიზანმიმართულადაც ახდენს, მაგრამ „დასავლურობის კრიზისისთვის“ ობიექტური მიზეზებიც არსებობს – იგივე ირაკლი ალასანია მხოლოდ თავისუფალი დემოკრატებიდან კი არა, არამედ, პოლიტიკიდან დროებით წავიდა. ასევე, გარკვეული რყევები დაიწყო რესპუბლიკურ პარტიაშიც.

ვითარების დრამატიზება იმანაც გამოიწვია, რომ პარლამენტში, სადაც „ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, პროდასავლური იდეების ლობისტად მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა მოგვევლინა, რომელიც საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილის თვალში, გასაგები მიზეზების გამო, დისკრედიტირებული ძალაა, ანუ ზოგს ჰგონია, რომ ჭეშმარიტი დასავლური დემოკრატია და ლიბერალიზმი, ესე იგი, ცხოვრების დასავლური წესი ისეთია, როგორ პოლიტიკასაც ნაციონალები მათი ხელისუფლებაში ყოფნის მანძილზე ატარებდნენ.

ახალი პოლიტიკური მოძრაობის შექმნა მნიშვნელოვანი ამ კუთხითაც იქნება.

კერძოდ, არსებობს ტაბუ, რომ საქართველოს დასავლურ ინტეგრაციაზე პოლიტიკური პრივატიზაცია ნაციონალებს აქვთ გამოცხადებული, ანუ ყველა, ვინც დასავლეთისკენ იყურება, მიშისტია. შესაბამისად, ადამიანების გარკვეული ნაწილი საკუთარი პროდასავლური შეხედულებების აფიშირებას მხოლოდ ამიტომ ერიდება.

მას შემდეგ, რაც დასავლეთი საქართველოში ახალ დასაყრდენს შექმნის, ეს ტაბუ თავისთავად მოიხსნება და ნაცმოძრაობაც დასავლეთის ფლაგმანის მისიას დაკარგავს, რაც დარტყმა მხოლოდ ყოფილი მმართველი გუნდისთვის კი არა, პრორუსული ძალებისთვისაც იქნება, რომლებიც მუდამ იმით აპელირებენ, რომ დასავლური იდეები და ნაცმოძრაობა ერთი მედლის ორი მხარეა.

მოკლედ, ახალი წელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლით დაიწყება, რაც დასაბამს ბევრ სხვა სიახლეს დაუდებს.

ყოველ შემთხვევაში, ახალი პროდასავლური მოძრაობის შექმნა, რომელშიც, პოლიტიკოსების გარდა, დიპლომატები და საზოგადოებისთვის სხვა ცნობილი სახეები გაერთიანდებიან, იმის მყარი გარანტია იქნება, რომ ხელისუფლება ქვეყნის საგარეო კურსს საკუთარი შეხედულებებისამებრ ვერ შეცვლის, რადგან, თუ ასე მოიქცევა, პასუხის გაცემა ცალკეული პოლიტიკური სუბიექტებისთვის კი არა, არამედ ხალხისთვის მოუწევს. ხალხთან დაპირისპირება კი კარგად არცერთ ხელისუფლებას არ დაუმთავრებია.

ნიუპოსტი

ნუკრი ქანთარია: „სამსახურებიდან ადამიანების გაშვება მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ პარლამენტის უმრავლესობის წევრ ნუკრი ქანთარიას ესაუბრა.



– ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, საჯარო სამსახურებიდან უნდა დაითხოვონ მოხელეები. ამავე დროს, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია ძვირადღირებული ინფრასტრუქტურული პროექტები, გარკვეულ სფეროებში კი ხელფასებიც იზრდება. ხომ არ გამოდის ისე, რომ ხარჯების შემცირებამ მოსახლეობის ერთი ჯგუფის კისერზე უნდა გადაიაროს?

– სამსახურებიდან ადამიანების გაშვება მტკივნეული ნაბიჯია, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ოპტიმიზაცია ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. ზოგჯერ ხდება ისე, რომ 5 თანამშრომელი აკეთებს იმ საქმეს, რომლის გაკეთებაც 1 კვალიფიციურ მუშაკს შეუძლია. ამ დროს აუცილებელი ხდება კადრების შემცირება. მთავარია, ოპტიმიზაციის პროცესი სამართლიანად და განმარტებებით წარიმართოს.

– ბევრი ფიქრობს, რომ უმუშევრად დატოვენ „უპატრონო“ კადრებს.

– ამიტომ ვამბობ, რომ აუცილებელია სამართლიანობა და სწორი მიდგომა. თუ 5 თანამშრომლიდან 4 გაუშვეს და 1 ისეთი დატოვეს, რომელიც გათავისუფლებულებზე არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერია, მაშინ სერიოზული პროტესტი გაჩნდება. სამართლიანობის გარდა, აუცილებელია ახსნა-განმარტებები. თითოეულ სამინისტროში ადგილზე გადაწყდება, რა როგორ მოხდება. ზოგან გათავისუფლებულთა რიცხვი დიდი არ იქნება.

– განმარტებებში რას გულისხმობთ?

– ხალხს გადაწყვეტილებები და ტენდენციები უნდა განვუმარტოთ. ეს, პირველ რიგში, უნდა გააკეთოს ეკონომიკურმა გუნდმა. ცხადია, ჩვენ, დეპუტატებმაც, უნდა მივიღოთ ამაში მონაწილეობა, განსაკუთრებით მაჟორიტარებმა. აუცილებელია მოსახლეობასთან კომუნიკაცია და გასაგებ ენაზე იმის ახსნა, თუ რატომაა პრიორიტეტული ინფრასტრუქტურა და რას მოხმარდება იანვრიდან გაზრდილი აქციზი. ახალი ინფრასტრუქტურა საჭიროა ეკონომიკის სწრაფი განვითარებისთვის, რისი დაპირებაც არჩევნების წინ მივეცით ხალხს. ინფრასტრუქტურამ უნდა მოიტანოს დასაქმება კერძო სექტორში. სამწუხაროდ, წინა 4 წლის განმავლობაში ყველაფრისთვის ვერ მოვიცალეთ.

– რატომ?

– ის 4 წელიწადი განსაკუთრებული იყო. პირველ რიგში, სახელმწიფოს უნდა ეზრუნა მოქალაქეების ჯანმრთელობაზე. შემოვიღეთ საყოველთაო ჯანდაცვა, დავიწყეთ სხვა პრობლემების მოგვარება. ეკონომიკას ახლა უნდა მივხედოთ. ეს პარლამენტიც თვისებრივად ახალია.

– დიდი ხანია, საუბარია იმაზე, რომ მოხელეები პრემიებსა და დანამატებს გადაჭარბებული რაოდენობით იღებენ. იყო დაპირება, რომ პრემიებსა და დანამატებს აღარ გასცემდნენ. მიუხედავად ამისა, ბოლო 9 თვის განმავლობაში მხოლოდ 7 სამინისტროში პრემიებსა და დანამატებზე 52 მილიონი ლარი დაიხარჯა.

– პრემიებისა და დანამატების აკრძალვა არ მომხდარა. ეს აკრძალვა არც მიმაჩნია მიზანშეწონილად. თუ ადამიანმა თავი გამოიჩინა, ის უნდა დააჯილდოვო. მთავარია, პრემიები და დანამატები არ გაიცეს მუდმივად და ყველასთვის. ვგულისხმობ საშუალო და დაბალი რანგის მუშაკებს, თორემ მინისტრმა პრემია არ უნდა აიღოს. ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვას მივესალმები. სააკაშვილის ახირების გამო, პარლამენტსაც უხდება ზედმეტი ხარჯის გაწევა. ძალიან ძვირი ჯდება პარლამენტის ორი შენობის შენახვა და შორს სიარული. პარლამენტს სარგებლობა არ მოაქვს ქუთაისისთვისაც.

– პარლამენტის თბილისში დაბრუნება დიდი ხანია, იხილება.

– სამწუხაროდ, ეს უახლოეს ხანში ვერ გადაწყდება. არადა, პარლამენტის ადგილმდებარეობის საკითხი წინა პარლამენტში კენჭისყრამდე იყო მიყვანილი. ბევრს გვეგონა, რომ ეს თემა ამ პარლამენტში კენჭისყრაზე დადგებოდა, მაგრამ პოლიტიკური გადაწყვეტილებით, ისიც სახალხო საკონსტიტუციო განსახილველ საკითხებში იქნა შეტანილი.

– ამ გადაწყვეტილებას ყველა არ დაეთანხმა?

– პირადად მე მიმაჩნია, რომ ეს უკვე განხილული საკითხია, ისევე, როგორც ქორწინების დეფინიცია. აღარ იყო საჭირო მათი განხილვა. არიან სხვებიც, რომლებიც ასე ფიქრობენ, თუმცა, ჩვენ გუნდში მიღებულ გადაწყვეტილებებს ვემორჩილებით.

– აღნიშნეთ, რომ ეს პარლამენტი თვისებრივად ახალია. რითია ახალი 2016 წლის პარლამენტი?

– წინა პარლამენტში, ჩვენ, ფაქტობრივად, ბრძოლის ველიდან მოვხვდით. უმრავლესობაში მოვედით ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს ვებრძოდით. წინა პარლამენტში მუდმივი დაპირისპირება გვქონდა ნაციონალურ მოძრაობასთან. ამას ბევრი დრო მიჰქონდა. დღეს გვყავს ახალი სახეები. ამ ადამიანებმა განათლება მიიღეს უცხოეთში. ნაცმოძრაობასაც ჰყავს ისეთი დეპუტატები, რომლებიც პირადად არ მონაწილეობდნენ დანაშაულებრივ პროცესებში, მაგრამ ისინი იზიარებენ პასუხისმგებლობას მომხდარ მოვლენებზე. ამიტომ ეს პარლამენტი უფრო მეტად იქნება საქმეზე ორიენტირებული. სამართლის დასამკვიდრებლად მუშაობას აგრძელებს პროკურატურა.

– ძველ და ახალ სახეებს შორის პოზიციების სხვაობა არ იკვეთება? გამოითქმის პროგნოზები იმის თაობაზე, რომ პარლამენტის უმრავლესობიდან ახალი პოლიტიკური ძალები შეიქმნება.

– ძველ და ახალ სახეებს შორის პოზიციებში განსხვავება არ არის. ზოგიერთ ძველ და ახალ სახეს შეიძლება გვქონდეს საკუთარი შეხედულება სხვადასხვა საკითხზე. პარლამენტის ადგილმდებარეობისა და ოჯახის განმარტების თემების პროცედურაზე მეც მაქვს განსხვავებული მოსაზრება. თუმცა, ასეთ დროს, საბოლოოდ, გუნდის გადაწყვეტილებას ვემორჩილებით. არა მგონია, რომ უმრავლესობიდან ახალი ძალები შეიქმნას. ასეთ პროგნოზს აკეთებენ იმიტომ, რომ არსებობს წარსული გამოცდილება – პარტიები შეიქმნა მრგვალი მაგიდის გაერთიანებიდან და მოქალაქეთა კავშირიდან.

„მინისტრები პრემიებს არ უნდა იღებდნენ“

– პარლამენტის გარეთ თუ არის მოსალოდნელი ცვლილებები?

– პარლამენტის გარეთ დარჩენილი ოპოზიცია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. რაც, პირველ რიგში, ამ პოლიტიკოსების შეცდომების შედეგია. მათ ვერ მოახერხეს გაერთიანება, ხალხმა კი მათ არჩევნებზე განაჩენი გამოუტანა. ამის შემდეგ ზოგიერთი ლიდერი პოლიტიკიდან წავიდა, ზოგიერთი, მაგალითად, ვიქტორ დოლიძე, აღმასრულებელ ხელისუფლებაში საქმიანობს. არიან ისეთებიც, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, რომ პოლიტიკაში იტივტივონ. ამისათვის ისინი მზად არიან, რომ კამერების თვალწინ მარიხუანაც კი დარგონ.

ამ გზით ხალხის ნდობას ვერ მოიპოვებ. ამით შეიძლება მოინადირო ერთი პატარა ჯგუფი. ვფიქრობ, რომ გარკვეული ხნის შემდეგ პარლამენტის გარეთ ახალი ძალები გაჩნდება. ცარიელი ადგილი უნდა შეივსოს.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

პაატა შეშელიძე: „მთავრობის ეკონომიკური გუნდი ახლავე უნდა შეიცვალოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ახალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელი პაატა შეშელიძე პასუხობს.

– ბატონო პაატა, ყოველდღიურად მძიმდება ეკონომიკური ფონი, საახალწლოდ ლარის კურსის ნიშნულმა შესაძლოა 2,8-ს მიაღწიოს. რას იტყვით თქვენ?

– მეც ვფიქრობ, რომ ნეგატიური მოლოდინი საფუძვლიანია გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკური ხელმძღვანელობა როგორც მთავრობაში, ისე ეროვნულ ბანკში, არ აპირებს შეცვალოს თავისი დამოკიდებულება და თავისი პოლიტიკა. ადამიანებს აქვთ პესიმისტური მოლოდინი და ამას კიდევ დამატებითი ელემენტი შემოაქვს ლარის გაუფასურებაში.

– მოსახლეობის განწყობებს?

– რასაკვირველია! პრაქტიკულად უკვე სამკომპონენტიანი გახდა ლარის გაუფასურების მიზეზი. პირველი არის ეროვნული ბანკის შეცდომები, მეორეა მთავრობის შეცდომები და მესამე – ნეგატიური მოლოდინები, როდესაც ადამიანები ცდილობენ, თავი დაიზღვიონ და დანაზოგი გადაახურდაონ უცხოურ ვალუტაში.

– ანუ ხელისუფლების მცდელობამ მომხდარიყო ლარიზაცია, არ გაამართლა?

– რა თქმა უნდა! ჯერ ერთი, გეგმა იყო სულელური, არაფრისმთქმელი. გამოწვევებს საერთოდ ვერ პასუხობს. მე თუ ბაზარზე ვარ, ვმუშაობ და დოლარი მირჩევნია, ხელოვნურად როგორ უნდა მოვახდინო ლარიზაცია?! მაშინ ეს უნდა მოხდეს აკრძალვების და შეზღუდვების გზით. ამ ყველაფერს დომინოს ეფექტი ექნება, შემდეგ გაყიდვასაც აუკრძალავ უცხოურ ვალუტაში, შემდეგ ანგარიშის გახსნასაც და წარმოიდგინეთ, სადამდე შეიძლება მივიდეს ეს ყველაფერი!

პრემიერ-მინისტრი რომ აცხადებს, ონლაინ-სესხებს აკრძალავს და ორ საათში ხდება ამ განცხადების დეზავუირება და ამბობენ, რომ კი არ უნდა ავკრძალოთ, არამედ რეგულაციები უნდა შემოვიღოთო. იმის მერე ორი კვირა გავიდა და არანაირი დოკუმენტი ამ საკითხზე არ არსებობს! თვითონ ეს ფაქტი ნორმალურია?!

– თუ დადგება ეკონომიკური გუნდის შეცვლის საკითხი?

– თუ დადგება კი არა, დღესვე უნდა დადგეს და დღესვე უნდა გადაწყდეს, თორემ ხომ ხედავთ, რა სიტუაციაა. არამარტო ეკონომიკური გუნდის, მთლიანად დამოკიდებულების შეცვლაა საჭირო! ეროვნული ბანკის ფუნდამენტური რეორგანიზაციაა საჭირო. უკვე დანაშაულში გადაიზარდა მათი გულგრილი დამოკიდებულება! ესენი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ლარი არ გამყარდეს და ხალხი გაუბედურდეს.

– რამდენად იზიარებთ მოსაზრებას, რომ ამ პოლიტიკით, სავალუტო ბაზარზე წარმოქმნილი რყევებით სერიოზულად იხეირეს ბანკებმა. ან რამდენად აშანტაჟებს საბანკო სექტორი ხელისუფლებას?

– არა, როგორ გეკადრებათ, საიდან მოიტანეს. ეს პირიქით არის! ეროვნული ბანკი და მთავრობა აშანტაჟებს კომერციულ სექტორს და იყენებს მათ ისე, როგორც სჭირდებათ! თავისი ფულით ამხელა რაღაცის გაკეთება კერძო სექტორს როგორ შეუძლია?! ხოლო თუ შეუძლია, როგორ წარმოგიდგენიათ, რომ მთავრობის და ეროვნული ბანკის გარეშე კეთდებოდეს. ეს წარმოუდგენელია!

მთავრობაში და ეროვნულ ბანკშია შეცდომები და იქ უნდა გამოსწორდეს! თუ ვიღაცა შეცდომას უშვებს და ვიღაცა ამაზე ფულს აკეთებს, ფულს ვინც აკეთებს, ის ხომ არ უნდა დავსაჯოთ?! ეს ხომ სისულელეა. არ უნდა მისცე საშუალება, რა, სულელი ხარ, ვერ ხედავ?! მაშინ გარიგებულები უნდა იყვნენ. თუ გარიგებულები არიან, მით უარესი.

– ხედავთ სიტუაციის გამოსწორების გზებს?

– არანაირი ოპტიმისტური განწყობა არ მაქვს. ამ ადამიანებს არ აქვთ ხედვა, რომელიც იქნებოდა რეალური ცვლილებების შემომტანი. მათ აქვთ ხედვა, რომელიც გულისხმობს ვითარების კიდევ უფრო დამძიმებას და აბა საიდან მექნება ოპტიმიზმი.

– კვირიკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხიც იკვეთება?

– რასაკვირველია! ეს კაცი აწერს ხელს ყველაფერზე და აბა ვისი საკითხი უნდა დადგეს?! თუ არ მოსწონს ეს გადაწყვეტილებები, მაშინ რატომ აწერს ხელს?! თავმოყვარეობის ამბავია. არ მოგწონს, გაიწიე გვერდზე და გვითხარი, რომ ეგრე არ არის, სხვანაირად ვფიქრობ. რა გამოდის? გარდა იმისა, რომ ცუდად მუშაობს, არაკეთილსინდისიერიც არის?!

თემურ ბასილია: „ეროვნული ბანკი დაადგა ლარის კუპონიზაციის გზას“

– ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი დაადგა ლარის კუპონიზაციის გეგმის განხორციელებას. ეს კი გამოიწვევს საქართველოს დაბრუნებას გოცირიძე-დვალიშვილის ეპოქაში, – წერს ამერიკაში მცხოვრები ქართველი ფინანსისტი თემურ ბასილია ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

მისი თქმით, 1992-93 წლებში ეროვნული ბანკი ატარებდა ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას და სისტემატურად გასცემდა კომერციულ ბანკებზე ათეულ მილიონიან სესხებს როგორც მთავრობის დავალებით, ასევე, დამოუკიდებლადაც.

ამის შედეგად მიმოქცევაში გადიოდა დიდი ოდენობის დაუსაბუთებელი ფულის მასა, რამაც საბოლოოდ ქვეყანა მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე კატასტროფულ ჰიპერინფლაციამდე მიიყვანა. სწორედ ამ ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად ყოველდღიურად უფასურდებოდა იმდროინდელი ფული – კუპონი.

– დღეს ვილაპარაკებთ მხოლოდ ერთ თემაზე – ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის გასაცემ სესხებზე, – წერს ფინანსისტი.

ის ამბობს, რომ მომდევნო 4 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი გეგმავს, კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების მოცულობა გაზარდოს 3-ჯერ და მეტად. 2016 წელს ეროვნული ბანკი გეგმავს კომერციულ ბანკებზე გასცეს 1.07 მილიარდი ლარის სესხი. 2017 წლისთვის კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების მოცულობა გაიზრდება 1,27 მილიარდ ლარამდე, 2018 წელს – 1,8 მილიარდ ლარამდე, 2019 წელს – 2,33 მილიარდ ლარამდე, ხოლო, 2020 წელს – 3,28 მილიარდ ლარამდე.

– ანუ, მომდევნო 4 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი გეგმავს 3-ჯერ და უფრო მეტად გაზარდოს კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების მოცულობა.

საქართველოში უკვე არაეკონომისტებმაც კი იციან, რომ თუ მიმოქცევაში ფულის მასა უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე საქონლისა და მომსახურების მოცულობა, ეს გამოიწვევს ინფლაციის ზრდას, ლარის კიდევ უფრო გაუფასურებას, მისი გაცვლითი კურსის დაცემას. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რას გამოიწვევს მიმოქცევაში არსებული ფულის მასის 3-ჯერ და უფრო მეტად გაზრდა. ეს გახლავთ გზა საქართველოს ფინანსური დესტაბილიზაციისკენ, – აცხადებს თემურ ბასილია.

კომერსანტ.ge

ლარი ისევ გაუფასურდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.6599 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.6154 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0445 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა. კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.8222 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.7713 ლარს შეადგენდა.

შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0509 ლარი შეადგინა.

ივა ჭყონია: „რითეილ კომპანიებს ისეთივე ვალდებულებები უნდა ჰქონდეთ, როგორიც ბანკებსა და კაზინოებს აქვთ“

დისტრიბუტორთა ასოციაცია მთავრობას რამდენიმე ინიციატივით მიმართავს. მათ შორისაა პროფესიული სასწავლებლის დაფუძნება და დისტრიბუციის დარგად ქცევა.

ამის შესახებ „კომერსანტთან“ ასოციაციის ხელმძღვანელი ივა ჭყონია საუბრობს.

მისი თქმით, დღეს ნაკლებ სავარაუდოა, რომ რითეილის ბაზარზე ინვესტირებით ვინმე დაინტერესდეს. ამის მიზეზად ჭყონია ბოლო პერიოდში ლარის მკვეთრ გაუფასურებას და საკანონმდებლო დონეზე დაურეგულირებელ სიტუაციას ასახელებს.

მისი განმარტებით, საქართველოში რითეილის ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელია და საკანონმდებლო დონეზე ძალიან ბევრი ცვლილებაა შესატანი.

კერძოდ, ჭყონიას ინიციატივით, კარგი იქნება, თუ რითეილ კომპანიებს ისეთივე ვალდებულებები ექნებათ, როგორც ბანკებს და კაზინოებს აქვთ.

– ფაქტობრივად, რითეილი სადისტრიბუციო კომპანიებთან ცალ კარში თამაშობს. მაგათზეა ყველაფერი მორგებული. დღეს რითეილის ბაზარზე აფუძნებ კომპანიას, რომელსაც თავის საკუთრებში არაფერი აქვს. „სმარტს“ აქვს თავის საკუთრებაში ქონება, ოღონდ მისივე შვილობილ კომპანიაზე გაფორმებული. პირობითად ვამბობ, „სმარტს“ რომ პრობლემა დაუდგეს და უჩივლო, მას ქონება არ აქვს. მისი მეპატრონე „ვისოლ ჯგუფია“. ამით ისინი მაქსიმალურად თავს იზღვევენ, – აცხადებს ჭყონია.

მისი თქმით, ასეთი კომპანიებისთვის გადახდისუუნარობაზე წასვლა ძალიან ადვილია.

მათ იციან, რომ ამაზე პასუხს არავინ მოსთხოვთ და უძრავ-მოძრავი ქონების სახით პასუხისგება არ მოუწევთ, რომელიც ხშირ შემთხვევაში მათ იჯარით აქვთ აღებული. ჭყონიას თქმით, კარგი იქნება თუ სადისტრიბუციო კომპანიები და რითეილ კომპანიები პარტნიორულ ურთიერთობაში იქნებიან და ამას კანონი დაარეგულირებს.

– მაგალითად, როგორც ბანკს ან კაზინოს ქმნი, კანონი გავალდებულებს, რომ გქონდეს საწესდებო კაპიტალი. დაახლოებით მსგავსი ვალდებულება უნდა იყოს რითეილ კომპანიებისთვისაც. წლების წინ „გუდვილი“ წავიდა რეაბილიტაციის გზით, რითიც რიგი სადისტრიბუციო კომპანიები კაბალურ მდგომარეობაში ჩაგვაგდო.

ადრე ბაზარი რადიკალურად განსხვავდებოდა, რადგან ა კლასის მაღაზიები იყო საცალო და არა – ქსელური, ნაშთები კი გაცილებით ნაკლები რაოდენობის იყო. ადრე თითო მაღაზიაში თუ გაჩერებული იყო 1.000 ლარი, ახლა ეს ციფრი 100.000-200.000 ლარამდე ავიდა, – აცხადებს ჭყონია.

ის ქვეყანაში დისტრიბუციის დარგად გადაქცევის აუცილებლობაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ამისთვის საჭიროა პროფესიული სასწავლებლის არსებობა.

ჭყონიას თქმით, უახლოეს მომავალში მომზადდება და საკანონმდებლო ორგანოს წარედგინება კანონპროექტი, რომელშიც ყველა ზემოთ აღნიშნული ინიციატივა იქნება გაერთიანებული.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.ge

გიორგი გახარია: „ლარის გაუფასურება მოკლევადიანი თემაა. ველოდებით დასტაბილურებას“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია ლარის კურსის გაუფასურებას მოკლევადიან თემად მიიჩნევს და მის დასტაბილურებას ელოდება.

როგორც გახარიამ ლარის კურსთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა და მოვლენები, რომლებიც ვითარდება ჩვენი ქვეყნის ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, შეუძლებელია, საქართველოს ეკონომიკაზე არ აისახოს.

– ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ ჩვენ ვართ პატარა, ღია ეკონომიკა. შესაბამისად, უნდა ვიყოთ მზად და უნდა ვიაზრებდეთ იმას, რომ მოვლენები, რომლებიც ვითარდება ჩვენს ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, შეუძლებელია, ჩვენს ეკონომიკაზე რომ არ აისახოს. ეს არის მოკლევადიანი თემა. ჩვენ ველოდებით დასტაბილურებას, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისივე თქმით, ის პროცესები, ის გეგმა, 4-პუნქტიანი გეგმაც, რომელსაც მთავრობა დგამს, მიმართულია იმისკენ, რომ ქვეყანაში იყოს უფრო მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ეკონომიკური ზრდა იყოს უფრო სწრაფი, რაც არის ერთადერთი საშუალება ლარის კურსის გრძელვადიანი დასტაბილურებისთვის.

ბიბიენი

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსად „პროგრეს ბანკის“ ყოფილი ტოპ-მენეჯერი ინიშნება

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური ხელმძღვანელს იცვლის. როგორც „კომერსანტისთვის“ გახდა ცნობილი, იოსებ გოგოლაშვილს კოტე სულამანიძე შეცვლის.

სულამანიძეს აქამდე ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის თანამდებობა ეკავა.

ამასთან, 2009 წლიდან, 2014 წლის მარტამდე სულამანიძე ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ დაფუძნებულ „პროგრეს ბანკს“ ხელმძღვანელობდა.

მანამდე ის მუშაობდა ბანკ „რეს-პუბლიკასა“ და „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“.

კომერსანტ.ge

ვახტანგ რჩეულიშვილი: „მაია 46 კილოს იწონის და ფილტვზე წარმონაქმნი აქვს“

„ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლის, მაია რჩეულიშვილის, ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სამოქალაქო საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ადვოკატი მარინა ცუცქირიძე აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს, წონაში სწრაფი კლების გამო, გამოკვლევები ჩაუტარდა. „ცენტრ პოინტის“ საქმის პროკურორი დავით გუმბერიძე კი ამბობს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მაია რჩეულიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის პოზიციას ბრალდების მხარე არ დაეთანხმება.

„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხზე მაია რჩეულიშვილის მეუღლეს, ვახტანგ რჩეულიშვილს, ესაუბრა.

„უნდა განსაზღვრონ, რა არის მაგათი მიზანი, მოკლან მაია თუ ბიზნესს უშველონ“

ნონა ცაბაძე

– ბატონო ვახტანგ, ადვოკატი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ქალბატონი მაიას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა.

– საგრძნობლად დამძიმდა. მაია 46 კილოს იწონის. ძალიან სწრაფად და საკმაოდ ბევრი მოიკლო წონაში. იქვე, საპატიმროში, გაუსინჯეს ფილტვები და რაღაც წარმონაქმნი აქვს ფილტვზე, თუმცა რა არის, ვერ გვითხრეს. ფაქტია, რომ მძიმედ არის. იმედია, მოიფიქრებენ, როგორ უმკურნალონ.

– ზუსტი დიაგნოზი არ დაუსვამთ?

– ჯერ ზუსტი დიაგნოზი არ არის დასმული. ციხეში არ აქვთ სათანადო აპარატურა, იმედია, დროულ და ზუსტ დიაგნოზს დაუსვამენ. ფილტვებზე რა სახის წარმონაქმნია, ზუსტად არ იციან, ამის გარდა, გულის სერიოზული პრობლემაც აქვს. მაიას ინფარქტი აქვს გადატანილი. გული, კუჭ-ნაწლავი, ფილტვები, ყველაფერი ერთად ჩაერთო. შეიძლება 58 წლის ქალი 46 კილო იყოს?! ფაქტია, რომ მძიმედ არის.

– პროკურატურა აცხადებს, რომ არ აპირებს, აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხი დააყენონ. რას აპირებთ თქვენ?

– ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართავთ პროკურატურას. ალბათ ექიმებიც მიმართავენ, რომ გაიგებენ, რა მდგომარეობაშია მაია. რას აპირებს პროკურატურა, ჩემთვის უცნობია. მაშინ გამოეტანათ დახვრეტის განაჩენი და დაეხვრიტათ პირდაპირ!

– თქვენი ვაჟის ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია?

– ვაჟს ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები არ აქვს. ნორმალურად არის. უბრალოდ, ძალიან ღელავს, რადგან მეუღლე ორსულად ჰყავს. საბოლოო ჯამში, ეს არის ჩვენს ოჯახზე ანგარიშსწორება. ამას ღიად, პირდაპირ და დაუფარავად ვაცხადებ. არანაირი დახმარება არ ყოფილა არსაიდან, რომ ეს აქტივი გაცოცხლებულიყო. ინვესტორები იხვეწებიან, ჩვენ დაგვალაპარაკეთ მაიასთან, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერსო და არც ამას აკეთებენ! თუ მათი მიზანი მაიას მოკვლაა, მაშინ არ გამოუშვებენ, ხოლო თუ მათი მიზანი დაზარალებული ხალხის დაკმაყოფილება და ამ ბიზნესის გადარჩენაა, მაშინ მაიას გამოუშვებენ.

– დღეს ვინ მართავს თქვენს ბიზნესს?

– ვერავინაც ვერ მართავს, რადგან ერთადერთი მაიაა, ვისაც შეუძლია ამის მართვა, ვინც არის ყველაფრის საქმის კურსში, ვინც ზედმიწევნით იცის, რა არის გასაკეთებელი.

– ხომ არ მოხდება ისე, რომ ბიზნესის დათმობა მოგიხდეთ?

– რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული. ბიზნესის ნახევარი ისედაც წართმეულია. ყველაზე ძვირი, ყველაზე ელიტარული ნაკვეთები უკვე წართმეულია. 1 ლარად გაყიდულია თელავის სასტუმრო, ჩვენი ათსართულიანი სასტუმრო! თავის ქონებას რატომ არ ყიდიან 1 ლარად?! თავისუფლების მოედანზე, თბილისში ყველაზე ძვირად შეფასებული ნაკვეთიც წართმეულია. ასევე წართმეულია 5 მილიონის ღირებულების, 4 მილიონის სხვადასხვა შენობები. სასამართლო პროცესი მოვიგეთ, არავითარი შედეგი არ არის.

– ვინ წაგართვათ?

– კომპანია არის სრულიად გაძარცვული ხელისუფლების მიერ! ძირითადად ძველია დამნაშავე, მაგრამ ახალსაც არაფერი გაუკეთებია, ერთი კაპიკიც რომ დაებრუნებინა. გამოდის, რომ ესენიც იზიარებენ ძველი ხელისუფლების პასუხისმგებლობას. ერთმა გაძარცვა და მეორე ხელს აფარებს. წარმოუდგენელი რამ ხდება. განაჩენი რომ არსებობდეს, კიდევ მესმის. ყველა მობინადრე სათითაოდ ხელს აწერს, რომ ყადაღა მოიხსნას, ბაკურიანში მშენებლობა განახლდეს და ესენი ჯიუტად არ ხსნიან.

ამიტომ პროკურატურამ უნდა განსაზღვროს, რა არის მაგათი მიზანი, მოკლან მაია, თუ რეალურად ბიზნესს უშველონ. ეს კი ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ!

ირაკლი მინდელი ციხიდან გამოუშვეს

პროკურორი: „ირაკლი მინდელმა მაია და გურამ რჩეულიშვილების მამხილებელი ჩვენება მისცა“

ადვოკატი: „ირაკლი მინდელის მიერ ბრალის აღიარება ბუნდოვანი იყო“

ირაკლი მინდელი

ცენტრ პოინტ აჭარის ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი მინდელი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდა.

ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გირაოთი შეცვლის შუამდგომლობა მინდელის ინტერესების დამცველებმა დააყენეს, რასაც როგორც ბრალდების მხარე, ასევე მოსამართლე დაეთანხმა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ირაკლი მინდელი 50 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა.

ირაკლი მინდელისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობას გურამ და მაია რჩეულიშვილების ადვოკატები და თავად ბრალდებული გურამ რჩეულიშვილიც დაეთანხმა.

– რა თქმა უნდა, ვეთანხმები. მე ვთვლი, რომ ეკონომიკური დანაშაულისთვის წინასწარ პატიმრობაში არავინ უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ორივე ხელით თანახმა ვარ, რომ ირაკლი გათავისუფლდეს, – განაცხადა გურამ რჩეულიშვილმა.

მანამდე კი, ირაკლი მინდელმა სასამართლოს ჩვენება მისცა და წარდგენილი ბრალი აღიარა.

❖ ❖ ❖

– ვაღიარე ჩემი წილი პასუხისმგებლობა გარკვეულ დარღვევებზე, რომლებზეც პროკურატურა დავობს.

ამის შესახებ ირაკლი მინდელმა გუშინდელი პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

მინდელი კონკრეტულ საკითხებზე საუბარს არ აპირებს, ვინაიდან საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს და შესაძლოა მისი პასუხები დამაზიანებელი იყოს როგორც მისთვის, ასევე სხვა ბრალდებულებისთვისაც.

– მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლებაზე ვარ, ჩემი საქმე არ დამთავრებულა. ვინაიდან საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს, ამ ეტაპზე თავს შევიკავებ დეტალებზე საუბრისგან. ვაღიარე პასუხისმგებლობა გარკვეულ დარღვევებზე, რომლებზეც დავობს გამოძიება, – განაცხადა მინდელმა.

ბრალდებულის თქმით, მისი ნებართვის გარეშე ფაქსიმილეს გამოყენება არ ხდებოდა, თუმცა, როგორც მინდელმა აღნიშნა, მისი ხელმოწერის გარეშე შეიძლებოდა რაღაცების გაკეთება.

მან თქვა, რომ 1.700.000 ლარი არ აუღია.

– აქ ლაპარაკი იყო პროცედურულ, ფაქტობრივ გარემოებებზე. ის, რომ მე გავფლანგე ან გურამს მივეცი, ამის შესახებ საუბარი არ ყოფილა. მე განვაცხადე კიდეც სასამართლო პროცესზე, რომ ფული არ წამიღია და არც გურამისთვის მიმიცია, – განაცხადა ბრალდებულმა ირაკლი მინდელმა.

❖ ❖ ❖

– ირაკლი მინდელმა მაია და გურამ რჩეულიშვილების მამხილებელი ჩვენება მისცა.

ამის შესახებ ცენტრ პოინტის საქმის ბათუმის მაგნოლიის ეპიზოდის პროკურორმა დავით გუმბერიძემ ჟურნალისტებს სასამართლოს დასრულების შემდეგ განუცხადა.

როგორც გუმბერიძემ აღნიშნა, ბრალდებულმა სრულად აღიარა მისთვის წარდგენილი ბრალი და დაასახელა მაია და გურამ რჩეულიშვილები, რომლებიც იყვნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები მენაშენეთა მიერ შეტანილი თანხების მითვისება-გაფლანგვის ნაწილში.

როგორც პროკურორმა განმარტა, ირაკლი მინდელის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენება სახელმწიფო ბრალდებისთვის ახლად გამოვლენილი გარემოება გახდა, რის საფუძველზეც ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა შეეცვალა.

– ირაკლი მინდელის მიერ სასამართლოში მიცემული აღიარებითი ჩვენება მაია და გურამ რჩეულიშვილების მამხილებელი ჩვენება იყო. ბრალდების მხარისთვის ეს წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას, რითაც ჩვენ დასკვნით სიტყვაში მოვითხოვთ გურამ და მაია რჩეულიშვილების მსჯავრდებას წარდგენილ ბრალდებაში, – განაცხადა დავით გუმბერიძემ.

პროკურორმა ასევე განმარტა, რომ არავითარი მოლაპარაკება მინდელის ინტერესების დამცველებსა და პროკურორებს შორის აღიარებითი ჩვენების მიცემამდე არ მიმდინარეობდა. მისივე თქმით, მინდელმა თავად გადაწყვიტა, სასამართლოსთვის აღიარებითი ჩვენება მიეცა.

❖ ❖ ❖

– ირაკლი მინდელის მიერ ბრალის აღიარება ბუნდოვანი იყო. ჩვენ ვერ გამოვიტანეთ შინაარსი, თუ რაში აღიარა მან ბრალი და რაში არა, – განაცხადა მაია რჩეულიშვილის ადვოკატმა.

როგორც ცუცქირიძემ აღნიშნა, ის მიესალმება, რომ ირაკლი მინდელი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდა და აღნიშნავს, რომ არც ერთი ბრალდებულის მიმართ თავიდანვე არ უნდა ყოფილიყო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოყენებული.

რაც შეეხება ირაკლი მინდელის მიერ ბრალის აღიარებას, როგორც რჩეულიშვილის ადვოკატმა აღნიშნა, მსგავსი ბრალის აღიარება მას აქამდე არასდროს უნახავს.

– ბრალის აღიარება იყო ბუნდოვანი. ვერ გამოვიტანეთ შინაარსი, რაში აღიარა მინდელმა ბრალი და რაში არა. როცა რამდენიმე დამაზუსტებელი სიტყვა დავსვით, მოსამართლემ ყველა კითხვა განაარიდა, რამაც ჩვენი უკმაყოფილება გამოიწვია. ჩვენ ახლაც არ ვიცით, საბოლოო ჯამში, რაში აღიარა მინდელმა ბრალი და რაში არ აღიარა, – განაცხადა მარინე ცუცქირიძემ.

ადვოკატი ასევე არ გამორიცხავს, რომ მინდელის ინტერესების დამცველებსა და პროკურატურას შორის ბრალის აღიარებამდე გარკვეული მოლაპარაკებები შედგა.

მარინა ცუცქირიძის თქმით, ირაკლი მინდელის მიერ ბრალის აღიარება მაია რჩეულიშვილისა და გურამ რჩეულიშვილის ბრალს ვერანაირად ვერ დაამძიმებს.

სასჯელაღსრულების სამინისტრო: „მაია რჩეულიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია“

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, ცენტრ პოინტის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის მაია რჩეულიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს სამინისტროში განუცხადეს.

რაც შეეხება ბრალდებულის დაწესებულების გარეთ, კერძო კლინიკაში გადაყვანას, როგორც უწყებაში განმარტეს, ეს დაიგეგმა მაია რჩეულიშვილის ადვოკატისა და მეუღლის განცხადების საფუძველზე.

– ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ის იმყოფება მედპერსონალის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და მიეწოდება ყველა საჭირო სამედიცინო სერვისი. რაც შეეხება ბრალდებულის დაწესებულების გარეთ, კერძო კლინიკაში გაყვანას, აღნიშნული დაიგეგმა მისი მეუღლისა და ადვოკატის განცხადების საფუძველზე.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ბრალდებულ მაია რჩეულიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვის მიზნით კანონით დადგენილ ყველა ღონისძიებას ახორციელებს, – განაცხადეს სამინისტროში.

მაია რჩეულიშვილი ჯანმრთელობის გაუარესების გამო საავადმყოფოში გუშინ გადაიყვანეს. ამის შესახებ ინტერპრესნიუსს რჩეულიშვილის ადვოკატმა მარინა ცუცქირიძემ განუცხადა.

– მედპერსონალმა და ციხის ადმინისტრაციამ ეჭვის ქვეშ დააყენა ის, რომ მაია რჩეულიშვილმა წონაში კლება დაიწყო, რაც მის მდგომარეობაში და ასაკში არ არის ნორმალური. ჩაუტარდა გამოკვლევა. უკვე ჩატარებული გამოკვლევების პასუხები ჩვენთვის არ არის ცნობილი.

შეგვატყობინეს, რომ ციხის საავადმყოფოში არ არის საკმარისი საშუალებები გამოკვლევების ჩასატარებლად და დიაგნოზის დასასმელად, ამიტომ აუცილებელი გახდა მისი სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანა და სრული გამოკვლევის იქ ჩატარება, – განაცხადა მარინა ცუცქირიძემ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ ი. კობახიძეს
საქართველოს საზოგადოებას

დღეს რომ ვარჩიოთ, თუ რამდენი ეკუთვნის თავისი შრომიდან პენსია პენსიონერს თავის სარჩენად, ამის დრო არ არსებობს. საჭიროა შეიქმნას დამოუკიდებელი საპენსიო ფონდი თავისი სერვისით, რომელიც თვითონ მოახდენს პენსიის დანიშვნას დამსახურების მიხედვით და გაუწევს დახმარებას ხელმოკლე ოჯახის სოციალურ მდგომარეობას და ა.შ.

ამ მიზნით, რიგითი მოქალაქიდან ბიზნესმენის ჩათვლით, ვისაც ეძლევა თვეში 3000 ლარი ხელფასი ან სხვა ფორმით თანხა (შემოსავალი), ფონდის დამოუკიდებელ ფუნქციონირებამდე ქველმოქმედების ან სესხის სახით ჩაურიცხოს 1%-ის ოდენობით. სახელმწიფომ ხელის შეწყობის მიზნით მომავალში ფონდს გაუწიოს დახმარება მატერიალური ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფაში თავისი წარმოების განსავითარებლად.

ვიმედოვნებ თქვენს ყურადღებას საკითხის გადაწყვეტაში.

პატივისცემით, აკადემიკოსი ლ. ჩაჩიბაია
558 66 03 51

გაეროს ახალი გენერალური მდივანი საქმიანობას შეუდგა

გაეროს ახალმა გენერალურმა მდივანმა ანტონიუ გუტერეშმა ფიცი დადო. ის თავის საქმიანობას უკვე ოფიციალურად შეუდგა.

ბევრი იმედოვნებს, რომ გუტერეშის მოსვლით მსოფლიო პოლიტიკაში ახალი ერა იწყება.

ტრამპმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პოსტზე რექს ტილერსონი წარადგინა

აშშ-ის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სახელმწიფო მდივნის პოსტზე ნავთობკომპანია ექსონმობილის ხელმძღვანელი რექს ტილერსონი წარადგინა.

– მისი შეუპოვრობა, ფართო გამოცდილება და გეოპოლიტიკის სიღრმისეული გაგება მას აძლევს პრივილეგიას, სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე იყოს დანიშნული, – ნათქვამია ტრამპის გუნდის განცხადებაში.

ახალარჩეული პრეზიდენტის აზრით, ის ხელს შეუწყობს რეგიონულ სტაბილურობას და ორიენტირებული იქნება აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებზე.

ალექსეი ნავალნი რუსეთის 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდის“ დამფუძნებელმა და ოპოზიციონერმა ალექსეი ნავალნიმ რუსეთის 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განაცხადა.

– ეს არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, ვინაიდან ჩვენ მოგვიწევს არა მხოლოდ იმის გადაწყვეტა, თუ ვინ ჩაუდგება სახელმწიფოს სათავეში, არამედ იმისაც, თუ რა გზით განვითარდება რუსეთი, – ნათქვამია ალექსეი ნავალნის განცხადებაში.

– მესმის, თუ რა რთული იქნება მოქმედ ხელისუფლებასთან და მის პროპაგანდისტულ მანქანასთან დაპირისპირება. ისიც მესმის კარგად, თუ რა რთული იქნება, საპრეზიდენტო კანდიდატი გავხდე, – აღნიშნა რუსმა ოპოზიციონერმა.

პუტინი: „რუსეთს იაპონიასთან ტერიტორიული პრობლემები არ გააჩნია“



– რუსეთს არ გააჩნია ტერიტორიული პრობლემები იაპონიასთან, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა იაპონურ ტელეკომპანიასთან ინტერვიუში.

– იაპონია თვლის, რომ მას ტერიტორიული პრობლემები გააჩნია, თუმცა ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ ეს საკითხი, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

პუტინმა ასევე აღნიშნა, რომ იაპონიასთან სამშვიდობო შეთანხმების არარსებობა „წარსულიდან მიღებული ანაქრონიზმია“.

პრეზიდენტის თქმით, 1956 წლიდან, მას შემდეგ, რაც ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები აღდგა, მოსკოვსა და ტოკიოს არ გააჩნდა საბაზისო საფუძველი, რომელზედაც შეიძლებოდა ურთიერთობების შენება.

15-16 დეკემბერს ვლადიმერ პუტინი ვიზიტით იაპონიას ეწვევა.

ვიწრო თვალებისთვის ახალზელანდიელს პასპორტს არ აძლევდნენ

ახალ ზელანდიაში პასპორტებისთვის ფოტოსურათების დამმუშავებელმა ავტომატურმა სისტემამ აზიური წარმოშობის მამაკაცის სურათი იმის გამო დაიწუნა, რომ მას ვიწრო თვალები ჰქონდა.

ახალ ზელანდიის მოქალაქე რიჩარდ ლი ავსტრალიაში სწავლობს და სურდა თავისი პასპორტი ინტერნეტის დახმარებით განეახლებინა. როდესაც მან საკუთარი ფოტოსურათი ვებ-გვერდზე ჩატვირთა, პროგრამამ ჩათვალა, რომ მამაკაცმა სურათი თვალებდახუჭულმა გადაიღო და სხვა სურათი მოითხოვა.

ეს ინფორმაცია მას შემდეგ გახმაურდა, როდესაც ლის ნაცნობმა ავსტრალიელმა დიჯეიმ მეშდ ნ. კატჩერმა ინფორმაცია ფეისბუქზე გამოაქვეყნა.

თავად ლის მომხდარის გამო თავი შეურაცხყოფილად არ უგრძნია, პირიქით, მისთვის თავშესაქცევიც კი აღმოჩნდა.

პირველი წარუმატებლობის შემდეგ ლი ფოსტის უახლოეს განყოფილებაში მივიდა და კიდევ რამდენიმე ფოტოსურათი გადაიღო. ერთ-ერთმა მათგანმა პროგრამული სისტემა დააკმაყოფილა, რის შემდეგაც ახალი პასპორტის მისაღებად მოთხოვნის გაგზავნა შესაძლებელი გახდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სირია: პარტიზანები იარაღის დაყრას არ აპირებენ

ალეპოში ბრძოლები არ ცხრება. ასადის არმიისა და რუსული ავიაციის მცდელობის მიუხედავად, პარტიზანების ქალაქიდან განდევნა ვერ მოხერხდა.

– ალეპოში სირიელი პარტიზანების ყველაზე ფანატიკური ნაწილი დარჩა. მათ ქალაქიდან გასვლაზე უარი განაცხადეს, თუმცა ამის საშუალება ჰქონდათ, – აცხადებს რუსი სამხედრო ჟურნალისტი პოდდუბნი.

ალეპოს პარალელურად ბრძოლები არც პალმირასთან ცხრება. ასადის მხედრობის მცდელობა ქალაქი დაებრუნებინათ, მარცხით დასრულდა.

– ჩვენ იარაღს მანამ არ დავყრით, სანამ ასადი არ წავა, – აცხადებენ სირიელი პარტიზანები.

ნაზარბაევის სიძე მოკლეს?

ცნობილი გერმანელი ექსპერტი ბერნ ბრიკმანი თვლის, რომ ყაზახეთის პრეზიდენტის ყოფილი სიძე რაჰმატ ალიევი მოკლულია.

ალიევი ვენის ციხის საკანში მკვდარი იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ალიევი ერთ-ერთ საქმეში ფრიად მნიშვნელოვანი მოწმე იყო.

ბრიკმანი აცხადებს, რომ ალიევმა რუსული მაფიის შესახებ მეტისმეტად ბევრი იცოდა, ამიტომაც თავიდან მოიშორეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კოლუმბიაში ცნობილი დაქირავებული მკვლელი გაქურდეს

დაქირავებულმა მკვლელმა ჯონ ხაირო ველასკესმა, მეტსახელად პაპაიმ, რომელიც კოლუმბიელ ნარკობარონ პაბლო ესკობარზე მუშაობდა, გაქურდვის თაობაზე განცხადება გააკეთა.

ველასკესის თქმით, მის ავტომობილს მოტოციკლეტი მიუახლოვდა, რომელზეც ორი შეიარაღებული მძარცველი იჯდა. საკუთარი იურისტის რჩევით, მას მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. თავდამსხმელებმა ველასკესს წაართვეს ძვირფასი სათვალეები, ორი ოქროს სამაჯური და მობილური ტელეფონი, რის შემდეგაც საკუთარ ნადავლთან ერთად მიიმალნენ. ცნობილი დამნაშავის თქმით, ის უკვე მეორედ გაძარცვეს. პირველი ინციდენტი რამდენიმე თვის წინ მოხდა. მაშინ მან მოახერხა და ერთ-ერთ მძარცველს ავტომობილი დააჯახა.

ველასკესმა დაიწუწუნა, რომ კოლუმბიის ქალაქ მედელინის ხელისუფლებას არ შესწევს უნარი, დაამარცხოს დამნაშავეობა.

– ჩვენი მერი უტვინოა, – განაცხადა მან, – ქალაქი მთლიანად ამ მოტოციკლეტისტების ხელშია.

თავის მხრივ, მედელინის მერმა ფედერიკო გუტიერესმა ველასკესის საპასუხოდ განაცხადა, რომ არ სჭირდება პაპაის ჭკუის სწავლება.

– ჩვენ უკანონობას ვებრძვით, რომლის შექმნაში მასაც მიუძღვის წვლილი, – დაწერა პოლიტიკოსმა ტვიტერში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი საღომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ბაიერნი ლევანდოვსკისა და რობენს ახალ კონტრაქტს სთავაზობს

ბოლო პერიოდში მიუნხენის ბაიერნმა მოუმატა და ნელ-ნელა ძველ ბაიერს ემსგავსება. ბავარიელებმა ბუნდესლიგაში პირველობა დაიბრუნეს. მშვენივრად გამოიყურება გუნდის წინა ხაზი. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეკორდმაისტერის 2 შემტევის, რობერტ ლევანდოვსკისა და არიენ რობენის დიდებული თამაში.

მიუნხენული კლუბის პრეზიდენტის პოსტზე ახლად დაბრუნებული ული ჰაინესის ინტერესებში ხსენებული მოთამაშეების კონტრაქტებს დიდი ადგილი უჭირავთ და მოლაპარაკებებიც აქტიურ ფაზაში შედის.

რობერტს მიმდინარე კონტრაქტი ბაიერნთან 2019 წლამდე აკავშირებს, ხოლო არიენს – 2017-მდე.

ჰაინესი კი იმედოვნებს, რომ ხსენებულ მოთამაშეებთან ახალი კონტრაქტის გაფორმება დიდ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს

ული ჰაინესი:

– რამდენადაც ვიცი, ლევანდოვსკისთან მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს, იმედი მაქვს, რომ ახალი კონტრაქტის გაფორმება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, რობენიც ჩვენთან დარჩება.

გეტყვით იმასაც, რომ მიუნხენის ბაიერნი ბუნდესლიგის გათამაშების სათავეში ვოლფსბურგელებთან გამარჯვების შემდეგ აღმოჩნდა. თუმცა, მოვლენათა ასეთი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი პირობა ინგოლშადატის წინააღმდეგ ლაიპციგის მარცხიც იყო.

კრიშტიანუ რონალდუ ოქროს ბურთის მფლობელია

პორტუგალიელმა ფეხბურთელმა, კრიშტიანუ რონალდუმ, ოქროს ბურთი მეოთხედ მოიპოვა და ეს მნიშვნელოვანი პრიზიც კუნძულ მადეირაზე კრიშტიანოს მუზეუმში დაიდებს ბინას.

ეს მსოფლიოში მე-2 შედეგია. კრიშტიანუმ გადაუსწრო იოჰან კრუიფს, მარკო ვან ბასტენსა და მიშელ პლატინის, რომელთაც ოქროს ბურთი სამ-სამჯერ აქვთ მოპოვებული. რონალდუზე მეტი მხოლოდ არგენტინელ ლეო მესის აქვს მოგებული – 5.

რონალდუმ ჯილდო „ფრანს ფუტბოლის“ ვერსიით მიიღო, რომლის გამოკითხვაში 200-ზე მეტი ჟურნალისტი მონაწილეობდა. მისი ერთადერთი და მარადიული კონკურენტი მესი მე-2 ადგილზე გავიდა, ხოლო სამეული ფრანგმა ანტუან გრიზმანმა შეავსო. რონალდუმ 745 ქულა მიიღო, მესიმ – 316, ხოლო გრიზმანმა – 198.

„ფრანს ფუტბოლი“ ადრე მარტო ასახელებდა „ოქროს ბურთის“ მფლობელს, შემდეგ ფიფასთან ერთად დაიწყო თანამშრომლობა, ხოლო წელს მსოფლიო ფეხბურთის ორგანიზაციის თანამშრომლობა დასრულებულია და ფრანგული გამოცემა კვლავ დამოუკიდებლად აჯილდოვებს საუკეთესოს.

თავად ფიფა წლის საუკეთესო ფეხბურთელს იანვარში დაასახელებს.

კრიშტიანუმ „ოქროს ბურთი“ პირველად 2008 წელს მოიგო, მაშინ ჯერ მხოლოდ „ფრანს ფუტბოლი“ აჯილდოვებდა. მომდევნო ტიტულები პორტუგალიელს წილად ხვდა 2013 და 2014 წლებში (უკვე ერთობლივი ვერსიით).

ისე მოხდა, რომ რონალდუმ საკლუბო და სანაკრებო ასპარეზზე წლის ყველაზე პრესტიჟული ტიტულები მოიპოვა, რამაც განაპირობა მისი წლევანდელი ტრიუმფი. თავად ფეხბურთელი ცერემონიალს არ დასწრებია, რადგან მადრიდის რეალთან ერთად იაპონიაში იმყოფება, სადაც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ნახევარფინალისთვის ემზადება. ისედაც, ცერემონიალი საკმაოდ მოკრძალებულად გაიმართა...

კრიშტიანუ რონალდუ:

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამ ტიტულს ოთხჯერ მოვიგებდი. ძალიან ბედნიერი ვარ. როცა ასეთ პრიზს პირველად იღებ, ეს ძალიან დიდებული ემოციაა, მაგრამ, მერწმუნეთ, დღესაც ისეთი გრძნობა მაქვს, როგორც 2008 წელს მქონდა. საშუალება მაქვს და მინდა ყველა ჩემს თანაგუნდელს როგორც პორტუგალიის ნაკრებში, ისე მადრიდის რეალში მადლობა გადავუხადო ამისთვის. ყველა მათგანს ეკუთვნის წვლილი ჩემს ამ ტრიუმფში. ამაყი ვიბარებ ამ ულამაზეს და საოცარ ოქროს ბურთს.

200 ჟურნალისტის ხმა 30-დან 19 ფეხბურთელზე გადანაწილდა, 11 კი, სულაც ქულის გარეშე დარჩა.

იან ობლაკმა სერიოზული ტრავმა მიიღო

მადრიდის ატლეტიკოსთვის ვილიარეალთან სტუმრად გამართული შეხვედრა ძალიან ცუდი გამოდგა.

პირველ რიგში, დიეგო სიმეონეს გუნდმა 0:3 წააგო, თან მათმა მეკარემ, სლოვენიელმა იან ობლაკმა მატჩის დროს ტრავმა მიიღო და მოედანი დროზე ადრე დატოვა.

როგორც აღმოჩნდა, ეს ტრავმა საკმაოდ სერიოზულია. ობლაკს, სავარაუდოდ, 3-4 თვის გამოტოვება მოუწევს და ოპერაციის გაკეთებაც დასჭირდება.

სიმეონემ ობლაკს მალე გამოჯანმრთელება უსურვა და თქვა, რომ მისი არყოფნა ატლეტიკოსთვის დიდი დანაკლისია.

ობლაკს, სავარაუდოდ, ატლეტიკოს მეორე მეკარე მოია შეცვლის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მანჩესტერელთა სამიზნე კავანი და როუზი არიან



მანჩესტერ იუნაიტედი და მისი თავკაცი ჟოზე მოურინიო მოვლენათა განვითარებას ელოდება, რათა ედინსონ კავანის პრემიერლიგაში გადასვლა შესთავაზოს.

საქმე ის არის, რომ პსჟ-მ კავანის ახალი, 3-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა (მოქმედი 2018 წელს იწურება), მაგრამ ურუგვაელი ჯერჯერობით არ ჩქარობს ხელის მოწერას.

კავანი თვეების განმავლობაში მართავს მოლაპარაკებებს პსჟ-სთან, მაგრამ ჯერჯერობით დარწმუნებული არ არის, სურს თუ არა კლუბში დარჩენა.

29 წლის ფეხბურთელი ბოლო 18 თვის განმავლობაში ითვლება იუნაიტედისა და ჩელსის სატრანსფერო სამიზნედ და ჟოზე მოურინიოც მოხარული იქნება მისი ოლდ ტრაფორდზე ხილვით. ედინსონი ზლატან იბრაჰიმოვიჩის შემცვლელად მოიაზრება. ეს 2 ფორვარდი კი ერთად სწორედ პსჟ-ში ასპარეზობდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ურუგვაელი შვედის ჩრდილქვეშ იყო, რასაც მისი მიმდინარე სეზონში ნაჩვენები ფორმა ადასტურებს.

მანჩესტერელთა კიდევ ერთი სამიზნე ტოტენჰემის 26 წლის მცველი დენი როუზია, რომელმაც სექტემბერში ლონდონურ კლუბთან ახალი, 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ჟოზე მოურინიო აქტიურად ეძებს მარცხენა მცველს.

საერთოდ, იუნაიტედი დიდი ხანია, აკვირდება როუზს და მისი გადაბირება ლუი ვან გაალსაც სურდა, მაგრამ ტოტენჰემთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილების ხარჯზე იციან, რომ „დეზების“ აღმასრულებელ დირექტორ დანიელ ლევისთან თანამშრომლობა არც ისე ადვილია.

ლევი დიდძალ თანხას მოითხოვს როუზში, მით უმეტეს, რომ კონტრაქტი აკავშირებს და როუზი ინგლისის ნაკრების რეგულარულ წევრად იქცა.

ფაბრეგასმა ჩინეთში თამაშზე უარი თქვა

ჩელსის ესპანელმა ნახევარმცველმა სესკ ფაბრეგასმა ჩინური გუნდისგან მეტად მაცდური წინადადება მიიღო, რომლის თანახმადაც, თუ კარიერას ჩინეთში გააგრძელებდა, წელიწადში 30 მილიონ ევროს მიიღებდა.

მიუხედავად ასეთი შთამბეჭდავი ციფრებისა, ფაბრეგასმა ჩინეთში თამაშზე უარი თქვა, რადგან მას უფრო მაღალ დონეზე სურს ასპარეზობა და ჩინეთი მის ამბიციებს ვერ აკმაყოფილებს.

აღსანიშნავია, რომ ფაბრეგასს ჩელსიში არცთუ სახარბიელო მდგომარეობა აქვს და ის ხშირად ვერ ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რის გამოც, არ არის გამორიცხული, სეზონის ბოლოს გუნდი დატოვოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ალექსანდრ შოვკოვსკიმ კარიერა დაასრულა

ლეგენდარულმა უკრაინელმა მეკარემ ალექსანდრ შოვკოვსკიმ 41 წლის ასაკში კარიერა დაასრულა.

შოვკოვსკიმ კარიერის დასრულებაზე შახტართან გამართული შეხვედრის შემდეგ ისაუბრა. უკრაინელმა მეკარემ აღიარა, რომ ფეხბურთიდან წასვლა მისთვის იოლი არ იქნება, მაგრამ, დგება დრო, როდესაც წერტილის დასმაა საჭირო.

ალექსანდრ შოვკოვსკიმ მთელი კარიერა კიევის დინამოში გაატარა და მისი დებიუტი ამ გუნდში ჯერ კიდევ შორეულ 1994 წელს შედგა, როდესაც შოვკოვსკი 19 წლის იყო. შოვკოვსკიმ კიევის დინამოში 633 შეხვედრა ჩაატარა და წლების განმავლობაში უკრაინის ნაკრების ძირითადი მეკარეც იყო.

ნაკრების შემადგენლობაში შოვკოვსკის ანგარიშზე 92 ჩატარებული მატჩია.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

შედეგები

12 დეკემბერი

ფეხბურთი

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვილიარეალი-ატლეტიკო 3:0

საუნინრო ცხრილი:

1.რეალი	15	11	4	0	40-14	37
2.ბარსელონა	15	9	4	2	37-15	31
3.სევილია	15	9	3	3	28-20	30
4.ვილიარეალი	15	7	5	3	22-10	26
5.სოსიედადი	15	8	2	5	26-21	26
6.ატლეტიკო	15	7	4	4	28-14	25
7.ბილბაო	15	7	2	6	20-18	23
8.ეიბარი	15	6	4	5	21-19	22
9.ესპანიოლი	15	5	7	3	19-18	22
10.ლას პალმასი	15	5	6	4	26-23	21
11.მალაგა	15	5	6	4	24-22	21
12.სელტა	15	6	3	6	24-29	21
13.ალავესი	15	4	6	5	14-17	18
14.ბეტისი	15	5	3	7	18-28	18
15.ლეგანესი	15	4	3	8	12-26	15
16.დეპორტივო	15	3	4	8	20-27	13
17.ვალენსია	15	3	3	9	21-29	12
18.ხიხონი	15	3	3	9	16-30	12
19.გრანადა	15	1	6	8	14-31	9
20.ოსასუნა	15	1	4	10	13-32	7

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

შტუტგარტი-ჰანოვერი 1:2

იტალია. სერია ა

ფიორენტინა-სასუოლო 2:1

რომა-მილანი 1:0

საუნინრო ცხრილი:

1.იუვენტუსი	16	13	0	3	35-14	39
2.რომა	16	11	2	3	36-16	35
3.მილანი	16	10	2	4	27-20	32
4.ნაპოლი	16	9	4	3	32-15	31
5.ლაციო	16	9	4	3	29-17	31
6.ატალანტა	16	9	1	6	25-20	28
7.ფიორენტინა	15	7	5	3	24-17	26
8.ტორინო	16	7	4	5	32-22	25
9.ინტერი	16	7	3	6	24-21	24
10.კიევო	16	6	4	6	16-16	22
11.სამპდორია	16	6	4	6	20-22	22
12.უდინეზე	16	6	3	7	22-24	21
13.ჯენოა	15	5	5	5	17-17	20
14.კალიარი	16	6	2	8	23-37	20
15.სასუოლო	16	5	2	9	21-28	17
16.ბოლონია	16	4	5	7	14-22	17
17.ემპოლი	16	2	5	9	7-24	11
18.კროტონე	16	2	3	11	14-30	9
19.პესკარა	16	1	5	10	13-29	8
20.პალერმო	16	1	3	12	11-31	6

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ორლეანი-რეიმსი 2:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

არუოჯა-რიუ ავე 0:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-ოლიმპიაკოსი 0:2

თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-ფენერბახჩე 1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

არკა-იაგელონია 2:3

უკრაინა. პრემიერლიგა

დინამო-შახტარი 3:4

დანია. სუპერლიგა

ვიბორგი-ოდენსე 1:1

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

რა იწვევს ხერხემლის პრობლემებს

ხერხემალი ადამიანის საღერძე ჩონჩხის ძირითადი ნაწილია. მასთან დაკავშირებული პრობლემები ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს აყენებს. ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი მალაა, რომლის არასწორმა მდებარეობამ შეიძლება გამოიწვიოს სქოლიოზი, კიფოზი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი, მალთაშორისი დისკის თიაქარი, შაკიკი.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პირველი მალა მსოფლიოს მოსახლეობის 99%-ს არა აქვს ბუნებრივ, სწორ პოზიციაში ანუ პირველი მალა გადაადგილებულია თავის ქალასთან მიმართებით. პირველი მალის სწორ პოზიციაში დასაბრუნებლად საქართველოში ახალი შვეიცარიული მეთოდი, ატლასპროფილაქსი, შვეიცარიის ატლასპროფილაქს აკადემიის დახმარებით დაიგეგმა.

შვეიცარიულ მეთოდთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ექიმს, ატლასპროფსპეციალისტს, ატლასპროფილაქს აკადემიის წევრ ია გორგილაძეს ესაუბრა.

ეკა ირემაშვილი

– ქალბატონო ია, რა არის ატლასპროფილაქსი?

– ხერხემლის პირველ მალას ატლასი ან ატლანტი ჰქვია. მას არა მხოლოდ უჭირავს თავი, არამედ მასზეა მიბმული მთელი ხერხემლის სვეტი. ეს სახელწოდება მას მითიური გოლიათის ატლანტის გამო ეწოდა, რომელსაც, მითოლოგიის თანახმად, ცის თაღი უჭირავს. ატლასი ადამიანების უმეტესობას დისლოცირებული მდებარეობაშეცვლილი აქვს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი დაავადებები.

1993-1996 წლებში შვეიცარიელმა რენე კლაუდიუს შუმპერლიმ, რომელიც თავად იტანჯებოდა პირველი მალის დისლოცირების გამო, დანერგა რევოლუციური მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ატლასისთვის სწორი მდებარეობის დაბრუნება უსაფრთხოდ და ეფექტურად.

ატლასპროფილაქსი არის ხერხემლის პირველი მალის ატლასის სწორ ანუ ბუნებრივ პოზიციაში დაბრუნების პროცედურა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პირველი მალა მსოფლიო მოსახლეობის 99% არა აქვს ბუნებრივ, სწორ პოზიციაში ანუ პირველი მალა გადაადგილებულია თავის ქალასთან მიმართებით, მაგალითად, მარცხნივ წინ და გადახრილია გვერდზე. ამას სამედიცინო ენაზე ჰქვია ქვეამოვარდნილობა. სახსრიდან სრული ამოვარდნილობისგან განსხვავებით, ქვეამოვარდნილობის დროს ხდება სასახსრე ზედაპირების რამდენიმე მილიმეტრით, მაგალითად, 2-3 მილიმეტრით აცილება ერთმანეთთან მიმართებით. მალის ასეთი მდებარეობა იწვევს მთელ რიგ დარღვევებს საყრდენ-მამოძრავებელ სისტემაში, როგორიც არის სქოლიოზი, კიფოზი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი, მალთაშორისი დისკის თიაქარი, შაკიკი.

– როდის ხდება ატლასის მდებარეობის შეცვლა?

– უმეტეს შემთხვევაში, ეს არის ბავშვის დაბადების დროს მიღებული ანუ სამშობიარო ტრავმა, თავის ქალის ტრავმა, ავტოავარია, სპორტული ტრავმა და ა.შ.

– რატომ იწვევს პირველი მალა ამდენ პრობლემას?

– ადამიანის ხერხემალი შედგება ძვლებისგან ანუ მალებისგან და მალთაშორის დისკებისგან. მალები ისეა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ქვემოთ მდებარე მალა დამოკიდებულია ზემოთ მდებარეზე და, საერთო ჯამში, ყველა ქვემოთ მდებარე მალა დამოკიდებულია პირველ მალაზე. აქედან გამომდინარე, პირველი მალის პოზიციის ცვლილება ავტომატურად აისახება დანარჩენ მალებზე. ხერხემლის სვეტი უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი მთლიანი, ამიტომ ცვლილებები კისრის არეში აუცილებლად გამოიწვევს ცვლილებებს გულმკერდისა და წელის განყოფილებებში.

– რა ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს პირველი მალის არასწორმა პოზიციამ?

– პირველ რიგში, ეს არის ხერხემლის სვეტის გამრუდება. ხერხემლის სვეტის გამრუდება გამოიხატება სქოლიოზით, კიფოზითა და ხერხემლის სვეტის როტაციით. სამედიცინო ლიტერატურაში სქოლიოზებს უმეტეს შემთხვევაში უწოდებენ იდიოპათიურს ანუ უცნობი მიზეზით გამოწვეულ დაავადებას. თუ დაავადების მიზეზი უცნობია, მკურნალობაც, შესაბამისად, უშედეგოა, რადგანაც არ ხდება მიზეზის აღმოფხვრა. როგორც აღმოჩნდა, მიზეზი არსებობს. ხერხემლის გამრუდება ხშირ შემთხვევაში არის რეაქცია პირველი მალის არასწორ პოზიციაზე.

– რატომ?

– ადამიანის ორგანიზმი შექმნილია სიმეტრიულად. სიმეტრიის ღერძი გადის თავის ქალა-ატლასის შესახსრებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პირველი მალა არ არის სწორ პოზიციაში, თავის ქალაც იმეორებს პირველი მალის პოზიციას, შესაბამისად, გადახრილია გვერდზე. სანამ ახალშობილი ბავშვი არის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ეს არის წლამდე ასაკი, თავის ასეთი მდებარეობა შეუმჩნეველია. როდესაც ბავშვი იწყებს სიარულს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი თავი იყოს ცენტრში იმისთვის, რომ მან დაიცვას წონასწორობა მოძრაობის დროს, ასევე დაინახოს საგნები სწორად. თუ ეს ასე არ არის, ტვინი ცდილობს, გაასწოროს პირველი მალა და თავი, რაც შეუძლებელია, ამიტომ ხდება ხერხემლის სვეტის ისეთ პოზიციაში მოყვანა, რაც დასვამს თავის ქალას ცენტრში. ასე ხდება ხერხემლის გამრუდება.

არანაკლებ საყურადღებოა ოსტეოქონდროზი, მალთაშორის დისკის თიაქარი. ოსტეოქონდროზი – ეს არის ქრონიკული დაავადება, რომელიც აზიანებს მალთაშორის დისკებს. დაზიანება ხშირ შემთხვევაში ხდება ხერხემლის გამრუდების შედეგად, ხერხემლის სვეტის ერთ-ერთ მხარეს გადახრისა და მექანიკური გადატვირთვის გამო, რაც ისევ და ისევ პირველი მალის არასწორი პოზიციის შედეგია.

– რატომ ვითარდება არასტაბილურობა ხერხემლის მალებში?

– თავის ქალას ღერძ-მალის ანუ აქსისის გარშემო ატრიალებს პირველი მალა. თუ პირველი მალა არ არის სწორ პოზიციაში, კეფა – ატლანტის სახსარი არ ფუნქციონირებს სრულფასოვნად, ამიტომ თავის მოტრიალება ხდება კისრის მალების ხარჯზე, რაც იწვევს დანარჩენი მალების არასტაბილურობას, მათ პათოლოგიურ მოძრაობას, რასაც, საბოლოო ჯამში, მივყავართ მალთაშორისი დისკის დაზიანებამდე, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო ოსტეოქონდროზით, არამედ დისკოზით, მალთაშორისი დისკის პროტრუზიით ან თიაქრით. ეს რაც შეეხებოდა თანდგომის დარღვევასა და ოსტეოქონდროზს.

– რა შეიძლება კიდევ გამოიწვიოს ატლასის არასწორმა პოზიციამ?

– ეს არის დაძაბულობით გამოწვეული თავის ტკივილი და შაკიკი. დაძაბულობით გამოწვეული თავის ტკივილი იწყება კისრისა და კეფის კუნთების დაჭიმულობით და გადადის თავზე. ხშირად პაციენტები აღნიშნავენ, რომ საკმარისია, ამ დროს გაიკეთონ მსუბუქი მასაჟი და თავის ტკივილიც იკლებს.

რაც შეეხება შაკიკს, შაკიკი არის ძლიერი თავის ტკივილი, რომელიც გრძელდება რამდენიმე დღე ან რამდენიმე საათი, თან შეიძლება ახლდეს თავბრუსხვევა და გულისრევის შეგრძნება. ხშირ შემთხვევაში ეს არის ტკივილი ნახევარი თავის არეში. შაკიკი, უმეტეს შემთხვევაში, თუ ეს არ არის ჰორმონალური დარღვევებით გამოწვეული შაკიკი, დაკავშირებულია თავის ქალაში მიმავალი სისხლძარღვების შევიწროებასთან, რაც ასევე პირველი მალისა და კისრის მალების არასწორი პოზიციის შედეგია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ატლასის ქვეამოვარდნილობა იწვევს ჯაჭვურ რეაქციას ხერხემალში, დანარჩენი მალების არასტაბილურობასა და გადაადგილებას, შედეგად სქოლიოზის, ოსტეოქონდროზის, დისკოზისა და მალთაშორის დისკის თიაქრის განვითარებას.

– რა სიმპტომები ახასიათებს ატლასის გადაადგილებასა და ზემოთ ჩამოთვლილ დაავადებებს?

– ამ დაავადებებისთვის დამახასიათებელი სიმპტომებია ტკივილი და დაჭიმულობა კისრისა და კეფის მიდამოებში, რაც ხშირად გადადის თავის ტკივილში, ტკივილი ზურგისა და წელის არეში, რომელიც მწვავდება შეცივებისა და ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, ხშირი, ძლიერი თავის ტკივილები, შუილი ყურებში, თავბრუსხვევა, ხელების დაბუჟება ღამე, სიმძიმის შეგრძნება ზედა ან ქვედა კიდურებში. თუ თქვენ გაწუხებთ ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებები ან სიმპტომები, ე.ი. თქვენი პირველი მალა – ატლასი – არ არის სწორ პოზიციაში. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია ატლასპროფილაქს-პროცედურის ჩატარება, რაც საშუალებას მისცემს თქვენს ორგანიზმს, დაიწყოს თვითაღდგენისა და თვითგაჯანსაღების პროცესები, რაც ხელს შეუწყობს თქვენს სხეულს, დაძლიოს ზემოთ აღნიშნული დაავადებები.

– რა შედეგები მოჰყვება ატლასის გასწორებას ანუ სწორ პოზიციაში დაბრუნებას?

– ატლასპროფილაქსით ხდება ხერხემლის დაავადებების მიზეზის აღმოფხვრა მაშინ, როცა კლასიკური მედიცინა ებრძვის ამ დაავადებების შედეგს. ჯერ კიდევ ჰიპოკრატე ამბობდა, რომ მხოლოდ დაავადების მიზეზის აღმოფხვრის შემდეგ იყო შესაძლებელი დაავადების სრული განკურნება. რადგანაც პირველი მალა ადამიანის ჩონჩხის სიმეტრიის ღერძს წარმოადგენს, მისი სწორ პოზიციაში დაბრუნება იწვევს მხრების, მენჯისა და ორივე ფეხის სიმეტრიულ განლაგებას. რამდენადაც ხერხემლის დანარჩენი მალები ატლასზეა მიბმული, მისი სწორ პოზიციაში ყოფნა იწვევს ხერხემლის სვეტის ასევე სწორ პოზიციაში თანდათანობით დაბრუნებას ადრეულ ასაკში. რადგანაც თავის ტვინში მიმავალი არტერიები აღარ განიცდის წნეხს, მას მიეწოდება საკმარისი რაოდენობის სისხლი და, შესაბამისად, ჟანგბადი.

ტვინი იწყებს კვლავ ნორმალურად ფუნქციონირებას, რაც იწვევს რეგენერაციისა და თვითრეაბილიტაციის პროცესის დაწყებას. ეს პროცესი ზოგ შემთხვევაში იწყება მეორე დღესვე, ზოგ შემთხვევაში კი – 2-3 კვირის შემდეგ. პაციენტს ეხსნება ტკივილები, იშლება მხრებში, გრძნობს სიმსუბუქეს მთელ სხეულში და ა.შ. და გრძელდება მინიმუმ 6 თვე. რთულ შემთხვევებში რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება რამდენიმე წელი. მაგალითად, სქოლიოზის, ოსტეოქონდროზის, დისკის თიაქრის შემთხვევაში პროცესი ჯერ სტაბილურდება, შემდეგ მიდის კუნთოვანი სისტემის გადაწყობა და პარალელურად იწყება მალთაშორისი დისკების აღდგენა. ეს, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი პროცესია. უჯრედებისა და ორგანოების რეგენერაცია მყისიერად არ ხდება. ორგანიზმის რეაქცია პროცედურაზე ინდივიდუალურია და დამოკიდებულია ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე.

თუ ზოგის შემთხვევაში ჯანმრთელობის აღდგენა სწრაფად ხდება, მათ, ვისი ორგანიზმიც არასდროს ფუნქციონირებდა სრულფასოვნად, მეტი მოთმინება მართებთ. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა დაავადება მეტისმეტად გამწვავებულია, ხანგრძლივად დაავადებულ ორგანიზმს კი შეიძლება აღარ აღმოაჩნდეს რესურსი თვითრეაბილიტაციისთვის. პროცედურის შემდეგ პაციენტს ეძლევა დამატებითი რეკომენდაციები, რათა თვითრეაბილიტაციის პროცესი წავიდეს უმტკივნეულოდ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ასტროპროგნოზი
14 დეკემბრისათვის

ვერძი – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა. ** კურო** – გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები, თუმცა სულ მალე მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – წარმატებული დღეა. თქვენს შესაძლებლობებს სრულყოფილად წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** – ეჭვიანობა უკუაგდეთ და ირწმუნეთ საკუთარი თავის. თამამად გარისკეთ. **ლომი** – დაგროვილი უარყოფითი ემოციებისგან თავისუფლდებით. გელით საინტერესო ცვლილებები. **ქალწული** – მორალურ პრინციპებს არ უღალატოთ. დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულეთ. **სასწორი** – თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. წარსულში დაშვებული შეცდომები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებებისთვის მოემზადეთ. არასაჭირო კავშირებისაგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. საქმისადმი ერთგულება და პრინციპულობა დადებით შედეგს გამოიღებს. **თხის რქა** – ძველი მეგობრების მონატრება ძლიერია. ნუ გადადებთ მათთან ვიზიტს. ილუზიებს არ აჰყვეთ. **მერწყული** – პლანეტები გწყალობენ. გარშემომყოფებს გულითადად მოეპყარით და ეცადეთ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ. **თევზები** – საჯარო სამსახურში დასაქმებულთათვის იღბლიანი პერიოდია. პარტნიორული ურთიერთობები ნაყოფიერი იქნება.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 2. სცენის გასანათებელი მოწყობილობა თეატრში; 3. ფაკულტეტის მართვის ორგანო უნივერსიტეტში; 4. მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი ფრანგი ძიუდოისტი; 7. სერბი ფიზიკოსი, გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 9. ვრცელი უტყეო ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 12. ორთქლმავლის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 14. საფრანგეთის პრეზიდენტი; 15. უმაღლესი სათათბირო ორგანო, სამეფო საბჭო ძველად საქართველოში; 17. ულტრანაციონალური ორგანიზაცია პალესტინაში; 20. ძველებური კაჟიანი თოფი.

თარაზულად: 5. ბუნებრივი ნაკრძალი აღმოსავლეთ საქართველოში; 6. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული საშობაო კერძი ბრიტანეთში; 8. გამოქვაბულში, მინისქვეშეთში, ნაპრალებში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესი; 10. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 11. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 13. მუდმივი მყიდველი; 16. გერმანიის პირველი იმპერატორი; 18. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 19. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 21. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 22. ქალაქი გურიაში; 23. ირლანდიის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „ხანჯლური“; 2. გერბი; 3. მჭედლიძე; 4. ჩინური; 7. ეკერი; 9. ჭინკა; 12. ბრანდვახტი; 14. დიქცია; 15. კასკადი; 17. „ჰოოპუნა“; 20. უწერა.

თარაზულად: 5. „ბაბუშერა“; 6. კაჭკაჭი; 8. „გობსეკი“; 10. კირჩხიბი; 11. გრაცია; 13. მწევარი; 16. პარალიზი; 18. „ჰონდა“; 19. ისტრი; 21. რწყილი; 22. ოდომეტრი; 23. გრანიტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჭერხო; 2. ქლესა; 3. „სალხინო“; 4. „მახა“; 5. ვეძა; 6. „ბიბლისი“; 9. „მანდარინები“; 10. ანტრაციტი; 11. „კოპიტნარი“; 14. კუკია; 16. შტილი; 18. ჯანაშია; 20. იალბუზი; 23. ლოსი; 24. ქერჩი; 25. შხამი; 26. გუნო.

თარაზულად: 7. ქათინაური; 8. ვეგეტაცია; 12. დიუნი; 13. ლობიო; 15. ბოდბე; 17. კუბერტენი; 19. ყანწი; 21. ანეტო; 22. ემალი; 27. ფილოქსერა; 28. ფარნავაზი.

შოთა რუსთაველის იუბილე რომში აღინიშნა



შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე რომში აღინიშნა.

დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტის, მეუფე აბრაამის გარმელიას კურთხევითა და იტალიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით რომის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამრევლოს წარმომადგენლებმა და მგალობლებმა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო გამართეს.

დამსწრე საზოგადოებას ყველა ქართველისათვის მნიშვნელოვანი და საამაყო თარიღი საქართველოს ელჩმა იტალიაში კახა სიხარულიძემ და რომის წმიდა ანდრიას სახელობის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა იოანე ხელაიამ მიულოცა, რომელმაც საღამოზე მოსულ სტუმრებს მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის, ზუსტად ერთი საუკუნის წინ ვარშავაში შოთა რუსთაველის 750 წლის საიუბილეო საღამოზე გაკეთებული მიმართვა წაუკითხა.

სოფო მასხულია გოგონას დედა გახდა

ჯგუფ „ენისის“ ყოფილი წევრი, მომღერალი სოფო მასხულია გოგონას დედა გახდა. მას პატარის დაბადება მეგობრებმა ორიგინალური სიმღერით მიულოცეს.

ბოლო პერიოდში სოფო სცენას ჩამოშორდა და მუშაობა საჯარო სამსახურში დაიწყო. ის თბილისის საკრებულოში მუშაობს.

10 წლის ვაჟის ვატო მგალობლიშვილის შემდეგ მომღერალს გოგონა რამდენიმე დღის წინ შეეძინა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

სამგლოვიარო განცხადებები

მამია გოგავას შესახებ

ერთი კლასელი გვყავდა... ყველასგან გამორჩეული, რაღაცნაირი, უცნაური... ძალიან ჭკვიანი და გონიერი, კეთილი და ალალი, სასაცილო და სხვანაირად მოაზროვნე. მართლა, ბევრ ჩვენგანზე ნიჭიერი და მშრომელი, წესიერი და უბოროტო. ერთ წყენასაც კი ვერავინ გავიხსენებთ მისგან. ახლა მგონია, მასაც არაფერი სწყინდა ჩვენგან, იმდენად ადამიანური იყო.

მისმა გარდაცვალებამ მთელ კლასს საშინლად დაგვწყვიტა გული. გვინდა, ბოდიში მოვუხადოთ შენს სულს, მამია, რაც კი ოდესმე გვიწყენინებია შენთვის. შეგვინდე! ჩვენ ჩვეულებრივი ბავშვები ვიყავით და ამიტომ ვერ ვხვდებოდით შენს არაჩვეულებრივობას.

მუდამ გვემახსოვრები, როგორც კეთილი და სუფთა ადამიანი. გავიხსენებთ შენს „რწყილსა და ჭიანჭველას“, დასვენებულ ველოსიპედსა და სკოლის დერეფანში ტანკივით სიარულს.

ახლაც გაგვეცინება, მაგრამ გაგვეცინება სიყვარულითა და დანანებით!

თანაკლასელების სახელით, მაცაცო თოხაძე

---

40 დღე 40 წამივით გავიდა
შენი გარდაცვალებიდან,
საყვარელო მამია!

კეთილი საქმის კეთებით
მოინადირე ყველა...
ჩემო ნათელო ბიჭო,
ვერ გაიხარე, ვერა.
სტიქარშიც აღარსად გხედავ,
კომპიუტერთანაც ბნელა,
დაგეძებ, ვერსად გპოულობ,
შენ გენაცვალოს დედა.
მეუღლე, სახლი, ტექნიკა
გახალისებდა შენა...
ბედნიერება გვიცვალე,
დაგვისადგურე სევდა.
უკვე ძლიერ მომენატრე,
მინდა დაგიწვე ფეხთან...
როცა მტერი მოგიკვდება,
მაშინ ჩამოვალ შენთან.

უბედური დედაშენი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ნიკა ჩერქეზიშვილს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა

ახალგაზრდა ქართველმა პოეტმა ნიკა ჩერქეზიშვილმა სამსახურიდან გათავისუფლების გამო კანცელარიასთან აქცია დაიწყო.

მის სამსახურიდან გაშვებას საგარეო საქმეთა სამინისტრო სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა:

– ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა 2015 წლის პირველი მაისიდან ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადით. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება მოხელის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან.

დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის შესაბამისად, მოსამსახურე შეიძლება გამოსაცდელი ვადის განმავლობაში გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის სათანადოდ დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე.

ასე მოხდა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის შემთხვევაშიც. მისი გათავისუფლება მოხდა სამართლებრივი პროცედურების სრული დაცვით. მოგეხსენებათ, რომ ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

ჩვენთვის ძალიან ძვირფასია თითოეული თანამშრომელი. ბატონი ნიკას სამსახურში აყვანა, ისევე, როგორც მისი შემდგომი გათავისუფლება, მოხდა კანონის სრული დაცვით.

ჩვენ მოვუწოდებთ მას, შეწყვიტოს პროტესტის ეს ფორმა და გამოვთქვამთ მასთან შეხვედრის გამართვის მზადყოფნას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განცხადების გავრცელებას ქმედითი ნაბიჯებიც მოჰყვა. როგორც პოეტმა განაცხადა, ის სახელმწიფო კანცელარიისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდა:

– შევხვდი სახელმწიფო კანცელარიისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს. დამპირდნენ, რომ ხვალისთვის მიიღებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. იმედი მაქვს, კიდევ ერთი დიდი იმედგაცრუება არ მზადდება. მადლობელი ვარ თქვენი მხრიდან ჩემ სასიკეთოდ გადადგმული თითოეული ნაბიჯისთვის, სასიკეთოდ თქმული თუ დაწერილი თითოეული სიტყვისთვის. რთულია კიდევ ერთი ღამის ღია ცის ქვეშ გათევა. შესაძლოა, ურთულესიც, მაგრამ არა შეუძლებელი.

გელათში ფრესკებს ჭერიდან ჩასული წყალი რეცხავს

გელათში უნიკალურ ფრესკებს ჭერიდან ჩასული წყალი რეცხავს – ამ ინფორმაციას სოციალურ ქსელში ისტორიკოსი ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი ავრცელებს და სპეციალურ ვიდეოს ურთავს:

– სოს! გელათში ამ შაბათ-კვირის წვიმებმა აჩვენა, რომ არაფრად ვვარგივართ. გელათის საუკუნოვან ფრესკებს ჭერიდან ჩამოსული ნაკადულები რეცხავს. ასე გვინდა იუნესკოს ძირითად ნუსხაში დაბრუნება? და, საერთოდ, ვართ ჩვენ გელათის ღირსნი?

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დავით სერგეენკო: „გრიპისმაგვარი ვირუსის 254 შემთხვევა დაფიქსირდა“

– ბოლო დღეებში გრიპისმაგვარი ვირუსის 254 შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამ სეზონის გაზრდილი ავადობის სურათი უკვე გამოკვეთილია და გაიზარდა პაციენტთა მიმართვიანობა, რის გამოც ჯანდაცვის სამინისტრომ ახალი პროტოკოლი აამოქმედა.

– მოგეხსენებათ, რომ ყოველ სეზონზე, გაზაფხულ-შემოდგომაზე ხდება გრიპისმაგვარი დაავადებების გამწვავება. ეს სხვადასხვა მიზეზით სხვადასხვა პერიოდში შეიძლება დაიწყოს. მორიგი ამ სეზონის გაზრდილი ავადობის სურათი უკვე გამოკვეთილია. ჩვენ გვაქვს დაახლოებით იგივე სიტუაცია, როგორიც მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში გვქონდა.

ეს არ არის ეპიდემია, როგორც ასეთი. ეპიდემიას თავისი მახასიათებელი აქვს, კერძოდ, 500-ზე მეტი დაავადებული 100.000 მოსახლეზე. ახლა, საბედნიეროდ, გვაქვს მხოლოდ 254 ბოლო დღეების მდგომარეობით, თუმცა, იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილია მიმართვიანობა სასწრაფო დახმარების სამსახურებში – 12 დეკემბრის მდგომარეობით 550 ზარი დაფიქსირდა, გამოძახება, რომელზეც რეაგირება ვერ მოხერხდა და ამ გამოძახებების უმეტესობა იყო სწორედ გრიპის სიმპტომების გამო, ჯანდაცვის სამინისტროს მიიღო გადაწყვეტილება, გააქტიუროს იგივე პროტოკოლი, რითაც ჩვენ ვმუშაობდით 3 კვირის განმავლობაში ამ წლის იანვარში. კერძოდ, დღესვე შეიქმნება ახალი სადისპეტჩერო, სადაც გადამისამართდება ასეთი ჩივილების მქონე გამოძახებები და ზარები და უკვე ამ დაავადებების მართვას განახორციელებენ ოჯახის ექიმები. დამატებით გაიხსნება საოჯახო ცენტრები, რომლებიც 24/7-ზე რეჟიმში იმუშავებენ,

– განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

ამასთან, დავით სერგეენკო მოსახლეობას სთხოვს, იმ პერიოდში, როდესაც მუშაობს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები, გრიპის სიმპტომების აღმოცენებისას პირველ რიგში მიმართონ ოჯახის ექიმს და არა სასწრაფო დახმარებას.

ინტერპრესნიუსი

გიგი წერეთელი: „საყოველთაო დაზღვევას ვერცერთი ბიუჯეტი ვერ გაუძლებს“

– ჩვენ 4 წლის განმავლობაში ძალიან კრიტიკულები ვიყავით ჯანდაცვის პროგრამის მიმართ, არა იმიტომ, რომ საყოველთაობა ცუდია, არამედ ცუდია მთავრობის მიერ საზოგადოებისთვის შეთავაზებული ფინანსური მოდელი.

ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გიგი წერეთელმა უმცირესობის სხდომაზე განაცხადა, სადაც პირველმა ვიცეპრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი წარადგინა.

– რაც შეეხება ჯანდაცვას, ჩვენ 4 წლის განმავლობაში ძალიან კრიტიკულები ვიყავით იმ პროგრამის მიმართ, რომელსაც მთავრობა მოსახლეობას სთავაზობდა.

პირველივე დღიდან, როდესაც ბიძინა ივანიშვილი იყო პრემიერმინისტრობის კანდიდატი, გვქონდა კამათი ამ საკითხზე, არა იმიტომ, რომ საყოველთაობა ცუდია, არამედ, ცუდია ის, რა ფინანსური მოდელიც შესთავაზა მთავრობამ საზოგადოებას – გათანაბრება, დაბალი მიზნობრიობა, მდიდრისა და ღარიბის ერთნაირად დაფინანსება და ა.შ. ჩვენ სულ ვამბობდით, რომ ამას ვერცერთი ბიუჯეტი ვერ გაუძლებს და ასეც არის. ყოველ წელს მთავრობას 100 მილიონის დამატება უხდება.

წელსაც ამოწურულია უკვე დეკემბრის დასაწყისში ფული და დამატება გჭირდებათ. მომავალ წელს ძალიან მცირეა ჩადებული იმისთვის, რომ დეფიციტი შეივსოს. მას შემდეგ, რაც არჩევნების დასრულდა და იმდენად აღარ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების აზრი, ახლა აცხადებთ, მოდერნიზება, რაღაც მიდგომები უნდა შეიცვალოს და სახელმწიფო ვეღარ აიღებს იმ ხარჯებს თავის თავზე, რომელიც შედარებით უფრო შემოსავლიან ადამიანებს აქვთ, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

ინტერპრესნიუსი

პროგრამა

ოთხშაბათი
14 დეკემბერი

07.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები **30** წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ქედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "წიგნების თარო" **14.30** "დღე მუზეუმში" **15.00, 02.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00, 03.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** მხ/ფ "**ზებგუებრივი პალკი**" (ე.ნორტონი) **04.00** "პირადი ექიმი"

08.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **09.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" **10.00** "ეიოფატორი" **10.20** მხ/ფ "**ვიცე მეფეები**" I ნაწ. **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ბეპამბოხე მიწა**" **23.00** "მოამბე" (**3** ენებზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ."**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**იძულებითი ომი**" **02.45** მინი/სერ. "**ოთხი სტიქიის ალქაჯები**" **4-5-6** სერ. **05.00** მხ/ფ "**ფედერალური დაცვა**"

06.00 სერ. "**დაკარგული გავშვობა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ძოსეების რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საბა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს ბალია**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** ნანუკას შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

08.00 ან/სერ. ავატარი **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00**სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**მისტერ რობოტი**" **00.00** მხ/ფ "**ოუშენის ცამეტი მეგობარი**" **02.25** მხ/ფ "**ჰერლოკ პოლმსი**"

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "მიუსაფარი-ობუჯი" **11.20** ბიბლია ბავშვებისათვის **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ფერწერა ბუმბულით" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30, 15.45** დ/ფ "მსოფლიო საგანძური" **16.00** კონცერტი **16.40** ეპოქა და ადამიანები "ამბროსი ხელაია" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" I სერ. **20.40** ძილი ნებისა "ასურელი მამები" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი (ციკლური გადაცემა) **21.35** ეპოქის სახელები (ციკლური გადაცემა) **22.00** სიახლენი **22.25** ქართული ალბომი (ციკლური გადაცემა) **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დეკორატიული ფლორა "კავკასიური სოჭი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** დ/ფ "დიდღელეს მღვიმე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟუსტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**ყარმელიტა**" **10.00** სერ. "**ფართოა მდინარე**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 2.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ვინ თუ არა მე**" **21.55** სერ. "**გემი**" **22.40** სერ. "**უსხო შინაურებს შორის**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

14 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6154	ევრო — 2.7713
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2917	100 რუსული რუბლი — 4.2866

ამინდის პროგნოზი 14 დეკემბრისთვის

13 დეკემბრიდან

სერია „ლიტერატურული ოდისეის“ წიგნი

უილიამ გოლდინგი

ბუზთა ბატონი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

15 დეკემბრიდან

ძმები გრიმები

ფიფქია

მაგარი ყდა, 64 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

კიმ კარდაშიანი კანიე უესტთან განქორწინებაზე ფიქრობს

ამერიკელი ტელევარსკვლავი კიმ კარდაშიანი მეუღე, რეპერ კანიე უესტთან დაშორებაზე მას შემდეგ დაფიქრდა, რაც მას ნერვული შეტევა დაემართა.

ამის თაობაზე ერთ-ერთ გამოცემას კარდაშიანის ერთ-ერთმა ნაცნობმა განუცხადა.

– დრო გავა, ვიდრე ის რაიმე ნაბიჯს გადადგამს, თუმცა მას ქორწინებაში ყოფნა აღარ სურს, – განაცხადა ინფორმატორმა.

მისი თქმით, ტელევარსკვლავი მეუღლის გამოჯანმრთელებას დაელოდება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კანიე უესტმა საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ლოს-ანჯელესში ბინა იქირავა, ხოლო კარდაშიანი თავის სამი წლის ნორტთან და ერთი წლის სეინთან ერთად თავისი ოჯახის საერთო სახლში ცხოვრობს.

– მას არ სურს, რომ ასეთ მდგომარეობაში კანიემ ბავშვები ნახოს, – განმარტა ანონიმმა ინფორმატორმა.

შეგახსენებთ, რომ კანიე უესტმა 21 ნოემბერს ტურნე შეწყვიტა და ნერვული აშლილობის გამო საავადმყოფოში მოხვდა. რვა დღის შემდეგ, რეპერი სამედიცინო ცენტრიდან გამოეწერა. მუსიკოსს მთელი რიგი ფსიქიკური აშლილობები აქვს და მედიკამენტების რეგულარულ მიღებას საჭიროებს.

ფიტნესმწვრთნელებმა ლეკვებთან ერთად ფოტოსესია გამართეს

ავსტრალიაში ფიტნესის ხუთმა მწვრთნელმა მონაწილეობა მიიღო კალენდრისთვის გამართულ ფოტოსესიაში და მასში ისინი ერთ-ერთი ადგილობრივი ცხოველთა თავშესაფრის ბინადარ ძაღლებთან ერთად პოზირებდნენ.

მამაკაცებმა საკუთარი დაკუნთული სხეულები წარმოაჩინეს ძაღლებთან ერთად, რომლებიც ახალი პატრონების გამოჩენის მოლოდინში არიან. კალენდრის გაყიდვიდან შემოსული თანხა მოხმარდება იმ ვეტერინარების მომსახურების ხარჯების დაფარვას, რომლებიც ადგილობრივ ცხოველთა თავშესაფრებს ემსახურებიან.

აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის იდეა ეკუთვნის ბრიტნი ბენეტს. გოგონასთვის ცნობილი გახდა სამედიცინო მომსახურების სიძვირის შესახებ.

– შევიტყვე თუ რაოდენ დიდი შრომა სჭირდებათ ადამიანებს იმისთვის, რომ ძაღლებს დაეხმარონ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენასა და მკურნალობაში, – განაცხადა გოგონამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორი:

– წავიდა პირველი, წავიდა მეორე, წავიდა მესამე... პარაშუტები ნუ გავიწყდებათ, ნუ გავიწყდებათ...

•••

ექიმი პაციენტ ქალბატონს ეუბნება:

– თქვენ დასვენება გჭირდებათ.

– ჰო, მაგრამ, ექიმო, ჩემი ენა ნახეთ!

– მასაც სჭირდება დასვენება.

•••

ღმერთი არავის უნახავს, მაგრამ მისი სწამთ. დეპუტატებს ყველა ხედავს, მაგრამ მათი არავის სჯერა.

•••

დედა შვილს ეუბნება:

– ჩემო საყვარელო, მე და მამა საქორწინოდ სამადგილიან საწოლს გაჩუქებთ.

– დედა, სამსაწოლიანი რად გვინდა?

– აბა, ვიღაც უცხო მამაკაცთან მარტო ხომ არ დაგტოვებს?!

•••

ფსიქიატრიულში ახალი პაციენტი მოხვდა. პალატაში ავადმყოფები ეკითხებიან:

– ვინ ხარ?

– ნაპოლეონი.

– იმპერატორები ბლომად გვყავს.

– მე იმპერატორი კი არა, ნამცხვარი ვარ!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, რა ნაკბენები მაქვს ზურგზე?

– ალბათ ჭიანჭველებმაც გაიგეს, რომ საწოლში კუნძივით გდიხარ.

•••

ბავშვმა მამასთან მიირბინა და ატირებული ეუბნება:

– მამა, ბებიამ მიკბინა!

მამა, ისე, რომ ტელევიზორისთვის თვალი არ მოუშორებია, ეუბნება:

– ვინ დაგავალა, გისოსებში ხელი შეყავიო?!

•••

ახალგაზრდა შეყვარებულის მამასთან მივიდა და ეუბნება:

– მინდა, ქალიშვილის ხელი გთხოვო.

– ჯერ დედამისი გენახა.

– ვნახე უკვე.

– მერე?

– თქვენი ქალიშვილი მირჩევნია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

სერია „ცამეტის“ წიგნი



9 დეკემბრიდან

აირა ლევინი

როზმარის შვილი

ფასი გაზეთთან ერთად 13 ლარი

სერია „ცამეტი“ აერთიანებს თრილერის ჟანრის 13 რჩეულ ნაწარმოებს

16 დეკემბრიდან

ნოდარ ასათიანი

საქართველოს ისტორია



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ინდოეთის ხელისუფლება 500-კილოგრამიან ეგვიპტელს გასხდომაში დაეხმარება

ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრი სუშმა სვარაჯი დაეხმარა ვიზის მიღებაში 500-კილოგრამიან ეგვიპტელ ემან ახმედ აბ ელ ატის, რომელსაც ინდოელი ექიმების მკურნალობის იმედი აქვს.

ბარიატრიული ქირურგიის ინდოელმა სპეციალისტმა მუფაზალ ლაკდავალამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას ემან ახმედის და დაუკავშირდა.

– მან ნაცნობებისგან შეიტყო, რომ ოპერაციას ვუკეთებ იმ ადამიანებს, რომლებიც სიმსუქნისგან იტანჯებიან, – განმარტა ქირურგმა, – ეს ღარიბი ოჯახია და ქაიროდან მუმბი ვარაუდობდნენ. საელჩოში მოითხოვდნენ, რომ ქალი, რომელიც 20 წელზე მეტია სანოლიდან არ წამომდგარა, პირადად გამოცხადებულიყო პირადობის შემოწმებაზე. ამ საკითხის მოსაგვარებლად ექიმმა მოუხდა ტვიტერის დახმარებით მიემართა ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრის სუშმა სვარაჯისთვის. რაზეც მინისტრმა უპასუხა, რომ ისინი მას დაეხმარებოდნენ.

ბაიში კერძო ჩარტერული რეისი მათ ბიუჯეტს აღემატება. ამიტომ ჩვენ მათ ვთხოვეთ, რომ პასპორტსა და ვიზაზე ეზრუნათ, ხოლო თანხების შეგროვება საკუთარ თავზე ავიღე.

სამედიცინო ვიზის აღება იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე ემან ახმედის ნათესავები ვარაუდობდნენ. საელჩოში მოითხოვდნენ, რომ ქალი, რომელიც 20 წელზე მეტია სანოლიდან არ წამომდგარა, პირადად გამოცხადებულიყო პირადობის შემოწმებაზე. ამ საკითხის მოსაგვარებლად ექიმმა მოუხდა ტვიტერის დახმარებით მიემართა ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრის სუშმა სვარაჯისთვის. რაზეც მინისტრმა უპასუხა, რომ ისინი მას დაეხმარებოდნენ.

მალე ლაკდავალამ ტვიტერით ეგვიპტელისთვის ვიზის მიცემის დადასტურება მიიღო და ის მუმბაიში გაემგზავრება საოპერაციოდ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი 3

შვეულად: 1. ოპერა „ნაბუქოდონოსორის“ კომპოზიტორი; 2. მდინარე რომში; 3. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 4. ჭადრაკის ფიგურა; 5. ძლიერი, ცივი ქარი ზღვის სანაპიროზე; 6. ლიხტენშტეინის მთავართა ტიტული; 9. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი რაჭაში; 10. სათავგადასავლო ჟანრის კინოს, თრილერის, ბოევიკის მთავარი გმირი; 11. შეუგნებელი, ანგარიშმიუცემელი ლტოლვა რაიმესკენ; 14. ფრანგი შანსონიე ქალი; 16. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 18. პოლონეთის ძველი დედაქალაქი; 20. მსხვილი სოსისი; 23. გემის მზარეული; 24. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 25. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 26. ლუდის დანალექი, გამონახარში.

თარაზულად: 7. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 8. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 13. ალ.ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 15. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 19. ბედიღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ცხოველთა სამყარო; 22. ქიმიური ელემენტი, აირი; 27. კინოკომედია „ქვევრის“ კინორეჟისორი; 28. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა